ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ჩხვიმიანი ხატია

„პოსტსაბჭოთა ტრანზიციის კულტურული შედეგები: სამი თაობის პერსპექტივიდან დანახული საბჭოთა ნოსტალგია“

ნაშრომი მომზადებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ ქარაია,

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი 2019

აბსტრაქტი

1991 წელს, საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ, საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქვეყანა დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას შეუდგა. პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპმა დრამატულად იმოქმედა მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებზე, „შოკური თერაპიით“ რეალიზებულმა ტრანსფორმაციის ეკონომიკურმა კურსმა კი დღის წერიგში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების საკითხი დააყენა. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ არასტაბილურ, მყიფე სოციალურ კონტექსტში ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საბჭოთა ეპოქის მიმართ ნოსტალგიური დამოკიდებულებები ფორმირდა. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების გამოყენებით მოცემული კვლევა 3 თაობის (მამების, შვილებისა და შვილიშვილების თაობა) ცნობიერებაში არსებული პოსტკომუნისტური ნოსტლაგიის რეპროდუქციებს, მათ თვისობრიობასა და წარმოშობას აანალიზებს, ამგვარის არსებობის შემთხვევაში. მოცემული ნაშრომის ძირითადი დაშვების თანახმად სამ განსხვავებულ კოჰორტაში შემავალი რესპოდენტების პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის გამოვლინებებს ტრანზიციის ეტაპზე წარმოქმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი განსაზღვრავს, რაც საბჭოთა პერიოდის სოციალური უსაფრთხოების კომპონენტს უპირისპირდება და მის მიმართ ნოსტალგიურ მიმართებას განაპირობებს.

Abstract

In 1991, after the collapse of the Soviet system, Georgia declared its independence and began his journey back to democracy and a free market economy. The post-Soviet transition dramatically influenced its political and economic structures and the economic course of transformation implemented by "shock therapy“, raised the issue of serious socio-economic challenges in the day-to-day basis. It is unlikely that in this volatile, fragile social context, in certain parts of the Georgian society post soviet nostalgic attitudes were formed. Using semi-structured interviews, the study analyzes reproductions of post-communist nostalgia in the consciousness of 3 generations (generation of fathers, children and grandchildren), also its quality and orgin. According to the basic admission of this work, the manifestations of post-Soviet nostalgia in three different cohortes is triggered by the severe socio-economic background created at the transition stage, which opposes through the social security component of the Soviet period and nostalgic attitude towards it.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I 13

ნოსტალგიის კონცეპტუალური საფუძვლები 13

თავი II 26

კაპიტალისტურ წესრიგზე ტრანზიცია 26

2.1. „შოკური თერაპია“ 26

2.2 „ვაშინგტონის კონსენსუსის“ რისკ ფაქტორები 30

2.3. საქართველოს გამოცდილება 33

თავი III პოსტსაბჭოთა ნოსტალგია 36

3.1. გამოკვეთილი ტენდენციები (G1 თაობა) 36

3.2. კოლექტიური ამნეზია 42

3.3. ძირითადი ტენდენციები (G2 ჯგუფი): ამბივალენტური ნოსტალგია 45

3.4. ოჯახური მეხსიერება 50

3.5. მიმდინარე გამოწვევები 54

3.6. საბჭოთა სისტემის მანკიერებანი 56

3.7. სტალინის კულტი 58

დასკვნა 62

დანართი 64

გამოყენებული ლიტერატურა 65

შესავალი

1991 წლის 26 დეკემბერს, საბჭოთა კავშირმა არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა. წითელი დროშა, ყველასთვის ცნობილი ნამგლისა და ურის გამოსახულებით კრემლის გარე ფასადზე 7:32 წუთზე დაეშვა, მის ადგილას კი თანამედროვე რუსეთის დროშა აღიმართა. წარსულს ჩაბარდა ტოტალიტარული სისტემის 70 წლიანი დომინაცია, მსოფლიო რუკაზე 15 ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკა განლაგდა. სისტემის დემონტაჟს საყოველთაო აღტაცება არ მოჰყოლია აწ უკვე პოსტსაბჭოთა საზოგადოების შიგნით. „გასაკვირი იყო, რაოდენ მწირად გამოხატა ემოციები ხალხმა. ბერლინის კედლის დემონტაჟისას მთელი საზოგადოება ქუჩებში იყო გამოფენილი. ეს მოვლენა კი, რომელიც უდავოდ გარდამტეხი ხასიათის ჩანდა, თითქოს არავის ადარდებდა“ იხსენებს ფოტოგრაფი ული კლაუსი, რომელიც მოსკოვსა და ბერლინში, განსხვავებულ დროს მიმდინარე ორი ისტორიული მოვლენის მსვლელობას, ფოტო ობიექტივის მეშვეობით აკვირდებოდა (Taylor, 2016).

მოცემულ ნაშრომში გაანალიზდა თუ როგორ შეძლო პოსტსაბჭოთა, ქართულმა საზოგადოებამ კომუნისტური სისტემის დემონტაჟის შემდეგ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან და ტრანზიციებთან ადაპტირება, შეგუება და ამ პროცესში ნოსტალგიის ერთგვარ დამხმარე მექანიზმად გამოყენება. ეს არის დაშვება, რომელშიც ტრანზიციის ფაქტორი საკვანძო მნიშვნელობის მატარებელია, რადგან განვითარების უწყვეტი ციკლის შეფერხებისა და ცვლილების გარეშე, იმ კულტურული ტრამვის წარმოქმნა, რომლიდანაც შემდგომ ნოსტალგიური რეპროდუქციები მიიღება, რამდენადმე შეუძლებელია (Kalinina, 2014, p. 43). კომუნისტური წესრიგის ნგრევა კი სწორედ ის მკვეთრად გარდამტეხი ცვლილებება იყო, რომლის ფონზეც პოსტსაბჭოთა, ქართული საზოგადოების ცნობიერებაში თავდაპირველად კულტურული ტრამვა, შემდგომ კი ნოსტალგიური სენტიმენტები ფორმირდა.

მოცემულ კვლევაში საბჭოთა ნოსტალგიური სენტიმენტების გამომწვევ კულტურულ ტრამვად არა თავად კომუნიზმის ნგრევა, არამედ კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის შედეგად მიღებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები მიიჩნევა. უმუშევრობა, სოციალური სტატუსით ჩამოქვეითება, სიღარიბე და კლასობრივი უთანასწორობა, რამაც უარყოფითად იმოქმედა პოსტსაბჭოთა საზოგადოების წევრებზე და ახალად ჩამოყალიბებული კაპიტალისტური წესრიგის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები გააჩინა (Wieliczko, 2003). ტრანსფორმაციის ამ ეტაპზე, მოცემული ნაშრომისთვის განსაკუთრებით საყურადღებო მოქალაქეთა 3 თაობის: მამების, შვილებისა და შვილიშვილების თაობის მიერ, თავისი ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სულიერი სფეროების დრამატული ცლილებაა, რამაც საბჭოთა კავშირთან მიმართებით მათი განწყობების, რწმენებისა და ღირებულებების სპექტრი მკვეთრად განსაზღვრა, სწორედ აღნიშნული პროცესის ზემოქმედების ხასიათსა და თვისებრიობას მიმოიხილვას მოცემული კვლევითი პროექტი.

ამდენად, აღნიშნული ნაშრომი ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების გამოყენებით, საქართველოს მოსახლეობის სამ განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფში, საბჭოთა კავშირთან მიმართებით გამოვლენილ ღირებულებებს, რწმენებსა და დამოკიდებულებებს შორის განვითარებული სხვაობის გამოკვეთას ცდილობს, რომელსაც ადგილი აქვს პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ფაზაში მყოფი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური რეალიების ბაზაზე.

აღნიშნული ნაშრომისთვის საკვანძო ცნებებს წარმოადგენს: კულტურული ტრამვა, პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურა, პოსტკომუნისტური ნოსტალგია და პოსტსაბჭოთა ტრანზიცია, რომელთა შინაარსიდანაც გაიზარება თემის თეორიული ბაზისი.

კვლევის მიზანია:

დადგინდეს რამდენად უწყობს ხელს საბჭოთა ნოსტალგიის ფორმირებას ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებზე ტრანზიციის პროცესი განსხვავებულ 3 თაობაში (მამათა, შვილთა და შვილიშვილთა თაობა) .

ამავე დროს, შესწავლილ იქნას, რა ტიპის სხვაობაა გამოკვეთილი თაობათა კულტურულ-ღირებულებით სპექტრს შორის.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის გარშემო არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილებების შესწავლა, რაც ნოსტალგიის გამომწვევ ძირითად ასპექტებზე ფოკუსირების საშუალებას იძლევა.
- საკვლევ სამ ასაკობრივ ჯგუფთან სიღრმისეული ინტერვიუების განხორციელების შედეგად, პოსტსაბჭოთა ნოსტალგიური რეპროდუქციების გამოვლენა და მათი წარმოშობის გაანალიზება.
- საბჭოთა ეპოქის შეფასებისას, სამ საკვლევ კოჰორტაში გამოვლენილ განწყობებსა და დამოკიდებულებებს შორის არსებული სხვაობის გამოკვეთა და მის გარშემო მსჯელობის განვითარება.

საკვლევი ობიექტები: კლევა კოჰორტულია, ამდენად საკვლევ 3 თაობას წარმოადგენს:

- G1 თაობა, რომელიც გაიზარდა და ზრდასრულ ასაკამდე ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის ფარგლებში (60 წლიდან ზემოთ).
- G2 თაობა, რომელმაც ახალგაზრდობის/მოზარდობის გარკვეული წლები გამოიარა საბჭოთა რეჟიმის პირობებში (35წ-60წ).
- G3 თაობა, რომელიც დაიბადა საბჭოთა კავშირის დემონტაჟამდე რამდენიმე წლით ადრე ან 1991 წლის შემდეგ, და არ მოსწრებია საბჭოთა რეჟიმს (21წ-35წ).

ნაშრომის საკვლევი კითხვები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- როგორ აისახა პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პროცესი საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრებ და მისი დაშლის შემდეგ დაბადებულ თაობათა კუტურულ-ღირებულებით სპექტრზე?
- რამდენად განაპირობებს პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პროცესში წარმოქმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტე, საზოგადოების ახალგაზრდა სტრატებში, საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიის ფორმირებას?

- როგორ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანზიცია მოქალაქეთა ღირებულებებზე, რწმენებზე და პოზიციებზე სამ განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფში?

ჰიპოთეზა:

1. პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე წარმოქმნილი ახალი სოციალურ-ეკონომიკური კონდიციები/რეალობები საზოგადოების ღირებულებით სპექტრზე საბჭოთა ნოსტალგიის სახით ჰპოვებს ასახვას.

2. პოსტსაბჭოური ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტე საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სტრუქტურების მიმართ ნოსტალგიურ განწყობას ბადებს საზოგადოების ახალგაზრდა სტრატებში.

3. პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანზიცია მამათა, შვილთა და შვილიშვილთა, სამ თაობის ღირებულებებზე, რწმენებსა და პოზიციებზე განსხვავებულად ზემოქმედებს.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია საშუალებას იძლევა ინდიკატორების სახით წარმოვადგინოთ, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები: პოსტსაბჭოური პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტე - მოცემული ცვლადის ინდიკატორებად წარმოდგება ისეთი ფაქტორები, როგორიც არის: უმუშევრობა, ინფლაცია, კლასობრივი უთანასწორობა, სოციალური უსაფრთხოების დაბალი ხარისხი, ელიტური კორუფცია და კაპიტალისტურ წესრიგზე ტრანზიციისას მიღებული ყველა ის მოცემულობა, რამაც ნეგატიურად იმოქმედა საერთო სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქვეყანაში. სწორედ მოცემული ფაქტორების განხილვა, გაანალიზება და გაზომვა წარმოადგენს კვლევისთვის სასიცოცხლო ამოცანას, რათა მისი ჰიპოთეტური დაშვება, რომ ეს უკანასკნელი საბჭოთა ნოსტალგიის ფორმირებას იწვევს, ნაშრომის ფარგლებშივე შემოწმდეს. ასევე მნიშვნელოვნია გარკვეული პარალელები გაივლოს სოციალისტურ ეკონომიკასა და საბაზრო კაპიტალისტურ წესრიგს შორის არსებულ ძირითად სხვაობებს შორის, რათა საერთო სურათი უფრო ცხადად გამოიკვეთოს და მის ფონზე წარმოქმნილი ნოსტალგიური სენტიმენტები მეტად გასაგებად წარმოჩნდეს.

საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიური განწყობა - მოცემული ცვლადის ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დადებით კონტექსტში მოხსენიება, აღნიშნულ პერიოდზე, როგორც დაკარგულ, ნანატრ დროზე, ისე საუბარი და ერთგვარი რომანტიზება. მისი ასოცირება „დაკარგული სამყაროების, წუთების, გამოცდილებებისა და ბავშვობის წლების მელანქოლიურ განცდასთან, რომელთან მიმართებაშიც წყვეტა შეუქცევადია“ (Anderson, 2010, p. 254).

ანალიზის ერთეული - ანალიზის ძირითად ერთეულს ქმნის პოსტსაბჭოთა ტრანზიციის შედეგად წარმოშობილ სუსტ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებსა და მოქალაქეთა სამ სხვადასხვა თაობაში გაჩენილ შესაძლო საბჭოთა ნოსტალგიას შორის არსებული ურთიერთმიმართების დაფიქსირება, (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რამდენად არის გამოკვეთილი გარკვეული სახის მიმართება მოცემულ ცვლადებს შორის და ხარისხობრივად როგორი კორელაციით გახლავთ ის წარმოდგენილი? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა ანალიზის ერთეულის საწყის წერტილს ქმნის. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის კომპლექსურობა, ანალიზის ერთეულსაც საკმაოდ მრავალმხრივ და შესასწავლად რთულ ელფერს ანიჭებს, თუმცა მისი გამარტივება კარგად შედგენილ საკვლევ ინსტრუმენტს - სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევის სახით ადვილად შეუძლია, რომელიც მას სრულად და ეფექტურად მოიცავს, ამასთან ერთად კი ის მითითებებს სხვა საკითხებსა და მიგნებებზეც აკეთებს.

კვლევის პროცესში მონაცემები შეგროვდა და გაანალიზდა თვისებრივი მეთოდოლოგიის საშუალებით, რომელმაც შესაძლებელი გახადა, საკითხი სიღრმისეულად, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით შესწავლილიყო. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენება კი ამ შემთხვევაში კვლევისთვის განსაკუთრებით მომგებიანია, რადგან შესასწავლ, სამ განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფში შემავალ რესპოდენტებს საშუალება მიეცათ თავისუფალ ფორმატში, უფრო ღიად და ინტერვიუს კითხვარისთვის დამახასიათებელი შეზღუდვების გარეშე ესაუბრათ თავიანთი პირადი გამოცდილებების, პოზიციებისა და დამოკიდებულებების შესახებ, ოთხი ძირითადი კითხვის ფარგლებში:

1. როგორ დაახასიათებდით ცხოვრებას საბჭოთა საქართველოს პირობებში?

2. როგორ აღწერდით ცხოვრებას თანამედროვე, პოსტსაბჭოთა საქართველოს ფარგლებში?

3. აღწერეთ თქვენთვის იდეალური საზოგადოება?

4. საბჭოთა კავშირის ნგრევის ფაქტს აღიქვამთ, როგორც პოზიტიურს თუ როგორც ნეგატიურ ისტორიულ მოვლენას? რატომ?

მოცემული კითხვების ფარგლებში განვითარებული ზეპირი ნარატივები სოციალური მოვლენის ახსნასა და სიღრმისეულ ანალიზზეა ორიენტირებული. კლევის პროცესში ინტერვიუების აუდიო, ხმოვანი ვერსიები ჩაიწერა, რომლის საფუძველზეც, თავდაპირველად ტრანსკრიპტები, შემდგომ ეტაპზე კი კოდირების შედეგად მიღებული კვლევის ძირითადი ტენდენციები მოიცა. ჩატარებული 26 ინტერვიუდან, 16 ქალაქ გორში, ხოლო 10 ქალაქ თბილისში ჩაიწერა, ამდენად კვლევისთვის მნიშვნელოვან ორ ქალაქს გორი და თბილისი წარმოადგენს. გორის ფაქტორი მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, სტალინის მშობლიურ ქალაქში საბჭოთა კავშირს, ძველი თაობიდან, დღესაც უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, ახალგაზრდებს კი მეტადრე სპეციფიური დამოკიდებულება აქვთ სტალინის კულტის მიმართ. სწორედ ამ ტიპის განწყობების გამოსავლენად და ასახსნელად ჩატარდა მოცემული კვლევაც.

კვლევის ობიექტები შეირჩნენ მიზნობრივი შერჩევის საშუალებით, რამაც შესაძლებელი გახადა კვლევითი რესურსების კონცენტრირება მხოლოდ საჭირო რესპოდენტებზე მომხდარიყო, რომელთა გამოცდილებები, განწყობები, დამოკიდებულებები და პოზიციები წაადგებოდა საკვლევი თემის საინტერესო ფორმით განვითარებას, ასევე მისგან ახალი ცოდნის გამოყვანას. ამ გაგებით, სამივე ასაკობრივ ჯგუფში შერჩევა განსხვავებული პროფესიის, სოციალური სტატუსისა და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით განხორციელდა. აირჩა ორი დიდი ქალაქი, თბილისისა და გორის სახით, რომელთა მაცხოვრებლების გამოკითხვაც სასწავლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, ქუჩებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებსა და იმ სხვა ლოკაციებზე ხდებოდა, სადაც კვლევისთვის საჭირო რეპოდენტების მოძიება შესაძლებელი იყო. შერჩევის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა ფართო პროფესიული სპექტრის მოცვა და ისეთი რესპოდენტების მოძიება, რომელთაც საბჭოთა

გამოცდილებებსა და ტრანზიციის ეტაპზე წარმოქმნილ გამოწვევებზე საუბარი ღიად, თამამად შეეძლებოდათ. ამ პრინციპს კვლევისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი მიზანს მამების, შვილებისა და შვილიშვილების თაობაში არსებული ღირებულებითი სპექტრის გამოკვეთა წარმოადგენს, გახსნილი რესპოდენტების გარეშე კი ამ ამოცანის რეალიზება შეუძლებელია.

მოცემული ნაშრომის *თეორიული ჩარჩო* ნოსტალგიის პოსტსამედიცინო დისკურსს ეყრდნობა, რომელშიც ნოსტალგიის არსს სამშობლოს მონატრებაზე მეტად, წარსულში გამოცდილი ცხოვრებისეული პრაქტიკების მიმართ წარმოქმნილი ფსიქოსოციალური ემოცია განსაზღვრავს. აღნიშნულის მიხედვით, პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის მამოძრავებელ ძირითად მოტივს არა თავად საბჭოთა სისტემაში დაბრუნება, არამედ იმ სოციალური დანაკარგის აღდგენა წარმოადგენს, რომელიც საბჭოთა სისტემის პირობებში გააჩნდათ მის მოქალაქეებს (Boyer, 2010). ზემოთხსენებულ თეზისს შლის დომინიკ ბოუერის სამეცნიერო სტატია, რომლის ფარგლებშიც მოცემული ნაშრომის თეორიული ნაწილი გაანალიზდა.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვები:

თვისებრივი მეთოდოლოგიით რეალიზებული მოცემული კვლევის ძირითად მეთოდოლოგიურ შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეს კონკრეტული, რაოდენობრივი მონაცემებისა და განსაზღვრული რიცხვითი მაჩვენებლების გამოყენებით, ქართულ საზოგადოებაში არსებული პოსტკომუნისტური ნოსტალგიის წარმოდგენას გამორიცხავს. მეორე მხრივ კი, პოსტკომუნისტური ნოსტალგიის შესაბამის ტენდენციებს, ძირითად მიგნებებსა და მახასიათებლებს გამოკვეთს. კვლევის ძირითადი შეზღუდვა: სამიზნე ჯგუფში შემავალი რესპონდენტების მოსაზრებების მოსმენა, მათი შეფასება და მოტივაციის ამოცნობა, ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივ ამოცანად წარმოდგება, თუმცა პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის თემატური კომპლექსურობიდან გამომდინარე სირთულეთა მთელ რიგს აწყდება და მნიშვნელოვან სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს, იმის დადგენა, თუ რატომ იძლევიან რესპოდენტები ამა თუ იმ განსაზღვრულ კითხვაზე განსაზღვრულ პასუხს, რა დომინანტი ფაქტორი განაპირობებს მათ ნოსტალგიურობას და განიცდის თუ არა ეს უკანასკნელი კვეთას სხვა

ფაქტორებთან. სწორედ, ნოსტალგიის თემატური მრავალფეროვნება და მისი ინტერდისციპლინურობა ქმნის მოცემული კველვის ძირითად გამოწვევას და მის გარშემო შეზღუდვების მთელ რიგს ავითარებს.

ნაშრომში წარმოდგენილი თავები, კვლევის შედეგების მიხედვით, თემატურად გახლავთ განაწილებული. პირველი თავი მიმოიხილავს ნოსტალგიის კონცეპტუალურ საფუძვლებს, მის ქვეთავებში გაშლილია პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის, ნოსტალგიის ტიპოლოგიისა და მოცემულ სფეროში ჩატარებული ემპირიული კვლევების საკითხები. მეორე თავი ფოკუსირებს პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე გატარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების სისუსტეებსა და პრობლემებზე, ქვეთავებში განხილულია „ვაშინგტონის კონსენსუსისა“ და ქართული გამოცდილების მაგალითები. მესამე თავი სამ ასაკობრივ ჯგუფში (G1, G2 და G3) ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებსა და ძირითად ტენდენციებს მიმოიხილავს. მის ქვეთავებში გაშლილია G1 თაობაში არსებული საბჭოთა ნოსტალგიის ტენდენციებისა და კოლექტიური ამნეზიის სიმპტომის თემატური ანალიზი, ასევე G2 და G3 ჯგუფში გამოვლენილი აბივალენტური ნოსტალგიის ნიმუშები და ახალგაზრდა თაობისთვის სახასიათო, „ოჯახური მეხსიერების“ ბაზაზე გამომუშავებული საბჭოთა განწყობები. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია მოცემული კვლევის ძირითადი დებულებებისა და მიგნებების შეჯამება.

თავი I

ნოსტალგიის კონცეპტუალური საფუძვლები

მოცემულ თავში გაანალიზებული ლიტერატურის მიმოხილვა: ცალკე აღებული ნოსტალგიის კონცეპტის, პოსტსაბჭოთა ნოსტალგიისა და მოცემულ სფეროში დაგროვებული ემპირიული გამოცდილებების სახით, ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვისთვის შესაბამისი პასუხის მოძიებას ემსახურება, ვინაიდან ქართულ პოსტ საბჭოთა საზოგადოებაში არსებული პოსტკომუნისტური ნოსტალგიის რაობასა და წარმომავლობაზე საუბარი, ზოგადი თეორიული სახელმძღვანელოს გარეშე, იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს თავად ნოსტალგია და მისი კერძო გამოვლინება პოსტ კომუნისტური მიმართულების სახით, ნაკლებად სამართლიანი და რელევანტური იქნება.

მოცემული კვლევითი ნაშრომისთვის ნოსტალგია საკვანძო ცნებას წარმოადგენს, ამდენად ლიტერატურის მიმოხილვის საწყის ეტაპზე საჭიროა ეტიმოლოგიის პერსპექტივიდან განიმარტოს ეს უკანასკნელი. ბერძნულ სიტყვაში ნოსტალგია თავსართი ნოსტოს - დაბრუნებას, ხოლო ბოლოსართი ალგოს ტკივილს გამოხატავს. მშობლიურ მიწაზე დაბრუნების მწუხარებითა და ტკივილით გაჯერებული სურვილი/ემოცია - ამგავრად განისაზღვრება ცნება (Homer, 1921, pp. 78-79), რომელსაც მე-17 საუკუნეში, იოჰანეს ჰოფერის სამედიცინო დისერტაციაში ფსიქიკური აშლილობისა და ავადმყოფობის სტატუსი ენიჭება, ჰოფერი მიუთითებს, რომ ეს საკმაოდ რთული კატეგორიის დაავადება, დიდ ყურადღებასა და მკურნალობას მოითხოვს, რათა შედეგი ლეტალური არ აღმოჩნდეს, მელანქოლიის, ანორექსიისა და სუიციდისკენ მიდრეკილების მკვეთრი გამოხატულებით (Kalinina, 2014, p. 42). აკადემიურ სფეროში მიღებულმა დაშვებამ, რომ ნოსტალგია სამშობლოში დაბრუნების ემოციასა და განცდას განმოხატავს, შემდგომ ეტაპზე ცვლილება განიცადა, მისი შინაარსი სამშობლოს მონატრების იდეას დიდწილად დაშორდა. თანადროულ მიდგომებში, ნოსტალგია მეტწილად წარსული პერიოდისა და ახალგაზრდობის მიმართ მონატრების სევდიან განცდასთან ჰპოვებს შეხებას, კვლევები აჩვენებს, რომ

ზრდასრული რესპოდენტები ნოსტალგიას მშობლიური კერისკენ სწრაფვაზე მეტად სითბოსთან, ახალგაზრდობასთან, ძველ დროსთან და ბავშვობასთან აკავშირებენ (Davis, 1979). ამგვარად, მოხდა ნოსტალგიის კონცეპტის რომანტიზება. ის აღქმულ იქნა „დაკარგული სამყაროების, წუთების, გამოცდილებებისა და ბავშვობის წლების მელანქოლიურ განცდად, რომელთან მიმართებაშიც წყვეტა შეუქცევადია“ (Anderson, 2010, p. 254).

ნოსტალგიური გამოცდილება ორ განზომილებაში ხორციელდება: ერთი მხირვ ის შეიძლება იყოს პერსონალურ ან კოლექტიურ დონეზე გამოცდილი, მეორე მხრივ კი პირდაპირი ან ირიბი სახით მიღებული (Davis, 1979). პერსონალური გამოცდილებები ინდივიდის მეხსიერებაში აკუმულირდება, უნიკალურია თავისი ბუნებით და განსხვავდება საზოგადოების კოლექტიური მეხსიერებისგან, რომელიც მთელი საზოგადოების მიერ გაზიარებული კულუტურული ბაზისიდან მიიღება. პირდაპირი სახით მიღებული ნოსტალგიური გამოცდილება „მიეკუთვნება წარსულის იმ რიგ მოვლენებს, რომელიც უშუალოდ ინდივიდის მიერ არის გამოცდილი, ირიბად მიღებული გამოცდილებები კი ოჯახის წევრების, მეგობრებისა და გარშემო წრის მეშვეობით გადაეცემა, ასევე მასემდიის, წიგნის, ფილმის, ტელევიზიისა და სხვათა დახმარებით მიიღება (Holak, 2008, p. 173).

ნოსტალგიის ტიპოლოგიურ ანალიზში მნიშვნელოვანია სვეტლანა ბოიმის დეფინიციების განხილვა: აღდგენითი და ამრეკლავი ნოსტალგიის გაანალიზება. „აღდგენითი ნოსტალგია ყურადღებას ამახვილებს „ნოსტო“-ზე: სამშობლოში დაბრუნებაზე, ამდენად ცდილობს დაკარგული სამყაროს აღდგენას და მეხსიერებაში არსებული სიცარიელის ამოვსებას, ამრეკლავი ნოსტალგია კი კონცენტრირდება „ალგია“-ზე, მწუხარებასა და სამშობლოს დანაკარგით გამოწვეულ სევდაზე, ამდენად მოცემული ხსოვნის ნაკლოვან ფორმას ავითარებს. აღდგენითი ტიპის ნოსტალგიის მატარებელნი თავს ნოსტალგიურად არ მიიჩნევენ, ამის ნაცვლად კი წარსულისა და ტრადიციების მნიშვნელობაზე მიუთითებენ. მაშინ როცა აღდგენითი ნოსტალგია იცავს წარსულის აბსოლიტურ სიმართლეს, ამრეკლავი ნოსტალგია მის ეჭვქვეშ დაყენებას არ გამორიცხავს (Gotfredsen, 2014, p. 249). მოცემული თეორიული პერსპექტივიდან სამართლიანი იქნება დავუშვათ, რომ აღდგენითი, ან გნებავთ

რეკონსტრუქციული ნოსტალგია ცენტრალურ როლს თამშობს ეროვნული და რელიგიური იდენტობების ხელახალი აღზევების პროცესში, მის ორ ძირითად ამოცანას კი წარმოადგენს: პირვანდელ წარმომავლობასთან დაბრუნება და კონსპირაციული მოქმედება. ამ გაგებით აღდგენითი ნოსტალგიისთვის მნიშვნელოვანია წარსული სიმბოლოების აღდგენა, ემბლემების, რიტუალებისა და ტრადიციების რეკონსტრუქცია, მათი წარსული სივრციდან ერთგვარი რეაბილიტაცია, ამოყვანა და გაცოცხლება, ამრეკლავი ნოსტალგია კი მისგან განსხვავებით არა სიმბოლოებს, არამედ დეტალებსა და მეხსიერებაში არსებულ წარსულ ფრაგმენტებს მიემართება, ის ირონიული, იუმორისტული და კრიტიკულია, რომლისთვისაც ისტორია წყალგაუვალ ფაქტს არ წარმოადგენს და რიგ შემთხვევებში, ეჭვის შეტანის საფუძელსაც იძლევა, ამის საპირისპიროდ კი აღდგენითი ნოსტალგიის საკვანძო მახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მისთვის წარსული აუცილებლობით ჭეშმარიტ, ხელშუხებელ მოვლენათა ერთობლიობას გულისხმობს, რომლის კრიტიკულ ანალიზში გატარებაც შედეგსა და აზრს მოკლებული ქმედებაა (Boym, 2011).

მოცემული ნაშრომისთვის მნიშვნელოვნია იმ ფაქტზე ხაზგასმა, რომ არსებობს შესამჩნევი სხვაობა რეალურ ტრამვულ ისტორიასა და გაფილტრულ ნოსტალგიურ რეპროდუქციას შორის, რომელიც ინდივიდის ცნობიერებაში შერჩევითი მეხსიერების ბაზაზე ვითარდება. სამართლიანი იქნება იმის დაშვება, რომ სწორედ ამ ასპექტში, ამრეკლავი ტიპის ნოსტალგიური რეპროდუქცია ხსნის, აკადემიურ სფეროში გავრცელებულ მიდგომას ნოსტალგიის, როგორც ისტორიის ხელახალი გადაწერის რევიზიონისტული პროექტისადმი, რომელშიც წარსული მოვლენები უფრო კრიტიკული ან პირიქით, ლამაზი და შესაქცევი ფორმით არის ინტერპრეტირებული. სწორედ ამ აზრით, პოსტკომუნისტური ნოსტალგია ქმნის შერჩევითი მეხსიერებისა და რევიზიონისტული მეთოდით მიღებული დამოკიდებულებებისა და განწყობების ფართო სპექტრს, რომელიც კონკრეტული პერიოდის სოციალურ კონტექსტებსა და რეალობებს მიემართება.

1.1. პოსტსაბჭოთა ნოსტალგია

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომისთვის, განსაკუთრებით საყურადღებოა ნოსტალგიის არა როგორც სამედინიცო, ფსიქიატრიული ან ფიზიკური შედეგების მქონე ფენომენის ასპექტები, საიდანაც იღებს ეს უკანასკნელი სათავეს, არამედ მისი, როგორც სოციოლოგიური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მოვლენის თვისობრიობა, რომელიც კავშირშია ეკონომიკურ განზომილებასთან.

„ნოსტალგია, როგორც თავად ეკონომიკა, გვხვდება ყველგან. თუმცა მოცემულ შინაარსზე მეტად, მას კულტურული პრაქტიკის სახე აქვს. მისი ფორმები, მნიშვნელობები და გავლენები კონტექსტების მიხედვით იცვლება და თავად მთხრობელის აწმყო პოზიციაზეა დამოკიდებული“ (Maria Todorova, 2012, p. 2). კეტლინ სტიუარტის მოცემული აზრთა სვლა მიუთითებს, რომ ის სოციალური კონტექსტი, რომლშიც თავად პროტაგონისტი იმყოფება დიდწილად განსაზღვრავს ნოსტალგიური რეპროდუქციების ხასიათსა და თვისობრიობას, რომელშიც ნოსტალგია ნაკლებად სტატიკური და მეტადრე დინამიკური, კონტექსტების მიხედვით ცვალებადი მოვლენის სურათს ავითარებს, სწორედ ამ ასპექტში ნოსტალგიის, როგორც ცალკე აღებული კონცეპტის მახასიათებლები განიცდის კვეთას მის ერთ-ერთ კერძო გამოვლინებასთან, რომელსაც პოსტსაბჭოთა, პოსტკომუნისტური ან გნებავთ პოსტსოციალისტური ნოსტალგია ეწოდება.

თავად პოსტკომუნისტური ნოსტალგიის არსი რაში მდგომარეობს? ცხადია, რომ ეს უკანასკნელი ცალკე აღებულ ნოსტალგიის კონცეპტთან შედარებით ბევრად უფრო სპეციფიური და უნიკალური შინაარსის მატარებელია. ტოდოროვა და გილი, თავიანთ წიგნში „პოსტ კომუნისტური ნოსტალგია“ მიუთითებენ, რომ ამ ფენომენის გარშემო, მედიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დისკურსი, მას ძირითადად უარყოფითი მოვლენისა და საშიში ტენდენციის კატეგორიას მიაკუთვნებს, მასთან მიმართებაში კი აქტიურად გამოიყენებს ცნებებს: კომუნიზმი და ნაციზმი/ფაშიზმი, როგორც წესი სოციალიზმი და კაპიტალიზმი იშვიათად ერთვება მსგავს დისკუსიაში (იგივე, გვ: 2-3). რაც მიანიშნებს პოსტკომუნისტური ნოსტალგიისადმი დიდწილად ტენდენციურ მიდგომას და მისი, როგორც ნეგატიური მოვლენის წარმოჩენის

მცდელობას, რის შედეგადაც ინდივიდებს, რომლებიც მას განიცდიან თვითცენზურისკენ მიდრეკილება უჩნდებათ. ამ მიდგომაში პოსტ კომუნისტური ნოსტალგია საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის დაბრუნების რისკ ფაქტორად აღიქმება, კერძოდ კომუნისტური მემკვიდრეობის აღდგენის რეალურ საფრთხედ განიხილება. საზოგადოდ გავრცელებული ამ დისკურსის პარალელურად, რომელშიც პოსტ საბჭოთა ნოსტალგია, რბილად რომ ვთქვათ არაპოპულარულ მოვლენად არის გამოყვანილი, იშლება ბოიერის თეორია, რომელშიც პოსტ კომუნისტური ნოსტალგია ბუნებრივ ფსიქოემოციურ მდგომარეობად აღიქმება. ავტორი მიუთითებს, რომ პოსტსაბჭოთა საზოგადოების წევრები, რომელთა ცხოვრებაც სისტემის დემონტაჟის შემდეგ დრამატულად შეიცვალა, განიცდიან სოციალურ დანაკარგს ცხოვრების იმ ხარისხის მიმართ, რომელიც აღნიშნულ ეტაპამდე გააჩნდათ, „მათ აქვთ სურვილი დაიბრუნონ, წარსულში არსებული: ეიფორიული, უსაფრთხო, სტაბილური და მარტივი ცხოვრება“ (Boyer, 2010, p. 18). ეს არის იმ ადამიანთა მიერ განცდილი ემოცია, რომელთაც თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი საბჭოთა სისტემის პირობებში განვლეს, ამდენად მათი ნოსტალგიის თვითმიზანი საბჭოთა კავშირის დაბრუნებაზე მეტად წარსულში არსებული უპირატესობების აღდგენაა.

აღნიშნულს ამტკიცებს, პოლონელი სოციოლოგების მიერ მოცემული თეორიაც, რომელშიც პოსტ საბჭოთა ნოსტალგიის სიმპტომები ძირითადად საშუალო კლასს ახასიათებს, ეს არის “სოციალური ჯგუფი, რომელიც იდეაში, საბაზრო ტრანზიციის პროცესის მთავარი ბენეფიციარი უნდა ყოფილიყო“, თუმცა შემდგომ გამოკვეთილმა რეალობამ, ეკონომიკური და სოციალური სტატუსით ჩამოქვეითების სახით, ეს ფინანსურად ნაკლებად წარმატებული კლასი, საბაზრო ეკონომიკის ოპოზიციურ მხარედ აქცია და საბჭოთა ეკონომიკის სენტიმენტები გაუჩინა მას. ამდენად, როგორც საბჭოთა ნოსტალგიის მკვლევარი კალინინა მიუთითებს პოსტსაბჭოთა ნოსტალგიური სენტიმენეტების გამომწვევ ძირითად მიზეზად თავად კომუნიზმის ნგრევის ნაცვლად, მოცემული ნგრევის შედეგად მიღებული პოლიტიკური-ეკონომიკური რეალობა უნდა მივიჩნიოთ, კრიმინალი და ინფლაცია - რამაც ნეგატიურად იმოქმედა პოსტსაბჭოთა საზოგადოების წევრებზე, უმუშევრობამ და სოციალური სტატუსით ჩამოქვეითებამ კი

უარყოფითი დამოკიდებულებები გააჩინა ახლად ჩამოყალიბებული კაპიტალისტური წესრიგის მიმართ (Wieliczko, 2003).

ეკატერინა კალინინა მიუთითებს, რომ ნოსტალგიური რეპროდუქციების მისაღებად საწყის ეტაპზე გარდამტეხი, ტრამვული გამოცდილებების ფორმირებაა საჭირო. ამ შემთხვევაში ნოსტალგია, ინდივიდის მიერ ცხოვრებისეულ ცვლილებებთან და ტრანზიციებთან ადაპტირების ერთგვარ მექანიზმად გვევლინება. დაშვებაში ნაგულისხმევია, რომ განვითარების უწყვეტი ციკლის შეფერხებისა და ცვლილების გარეშე, ნოსტალგიური სენტიმენტების წარმოქმნა ერთობ სათუო და სავარაუდოა, რადგან მხოლოდ მკვეთრად გარდამტეხ ცვლილებებს ძალუძთ ინდივიდის ცნობიერებაში კულტურული ტრამვის წარმოქმნა, რომლისგანაც შემდგომ ნოსტალგიური რეპროდუქციები მიიღება (Kalinina, 2014, p. 43).

ამდენად, საბჭოთა კავშირის დემონტაჟი, კერძოდ სისტემის ნგრევის შედეგად მიღებული ფუნდამენტური სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები ქმნის კულტურული ტრამვის ბაზისს პოსტ საბჭოთა საზოგადოების ცნობიერებაში, რომლის საფუძველზეც შემდგომ საბჭოთა ეპოქის მიმართ ნოსტალგიური დამოკიდებულებები ყალიბდება. პასუხს, მსჯელობის პროცესში ლეგიტიმურად გაჩენილ კითხვაზე თუ რა განაპირობებს პოსტ საბჭოთა ტრამვული გამოცდილების ძირითად საწყისს, 90-იანებში დაწყებული კულტურული დისორიენტაცია და იმ რწმენის გაცრუება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც დასავლეთისა და დასავლური ღირებულებების შესახებ კომუნისტურმა საზოგადოებამ საკმარისად ბევრი იცოდა, ისტორიული განვითარების გადააზრებამ და ახალ წესრიგსა და რეგუალციებზე გადასვლამ კი პოსტ კომუნისტურ საზოგადოებას თანამედროვეობის რეალური სახე აჩვენა, სწორედ ამ ეტაპზე საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიური მიმართება მას ერთგვარ დამხმარე მექანიზმად ევლინება და მეხსიერებაში არსებული „ნათელი“ წარსულის კვალდაკვალ მომავლისადმი იმედიან განწყობას უნარჩუნებს.

ასევე უნდა მიეთითოს, რომ კულუტურული ტრამვა მანამდე არ არსებობს, სანამ მისი კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში შერჩევითი შემოსაზღვრა და ინტერპრეტირება არ მოხდება (Sztompka, 2000, pp. 456-457). ამ გაგებით, პოსტ საბჭოთა საზოგადოება 1991

წელს საბჭოთა სისტემის დემონტაჟით მიღებულ ფუნდამენტურ სოციალურ გარდაქმნას ცნობიერებაში აღბეჭდავს, როგორც ტრავმულ გამოცდილებასა და დანაკარგს, რომელსაც „განკურნება“ ესაჭირეობა. განკურნებაში, შესაძლოა ორი სცენარი ვიგულისხმოთ, ერთი მხრივ ეს არის საბჭოთა კავშირში დაბრუნება, რაც იმ წყალგაუვალი ისტორიული ფაქტიდან გამომდინარე რომელიც, თანამედროვე მსოფლიო მატიანეს ფურცლებზე 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა სისტემის ოფიციალურ კოლაფსად აღბეჭდავს, ნაკლებ დამაჯერებლობას იმსახურებს, ხოლო მეორე სცენარი, არსებული სოცალურ-ეკონომიკური კონტექსტების მოდიფიცირება და წარულის იმ სოციალურ კონტექსტებად „გადათრაგმნა“, რომელშიც პოსტ სოციალისტური საზოგადოება მეტ სოციალურ დაცულობასა და აღიარებას გრძნობს, „განკურნების“ ქვეშ მოაზრებულ იდეასთან უფრო ახლო მდგარია. თუმცა, ტრამვული გამოცდილების „განკურნების“ პარალელურად მასთან შეგუების სტრატეგიაც შეგვიძლია განვიხილოთ, რაც რეალურად არის ნოსტალგიის გამოვლინება.

მაგალითად, ფრედ დევისი (1979) ტოლობის ნიშანს სვამს ნოსტალგიასა და კულტურულ ტრამვასთან პასიური ადაპტირების სტრატეგიას შორის, კერძოდ ტრამვის გადასალახად პასიური სტრატეგია წარსული გამოცდილებების, რიტაულებისა და ტრადიციების აწმყოში გადმოტანას გულისხმობს, ნოსტალგიაც ასევე, წარსულზე ორიენტირით ცდილობს იმ დანაკარგის ანაზღაურებას, რაც სოციალური ტრანსფორმაციის შედეგად, განსაზღვრულ ეტაპზე მოიცა. სწორედ ამ მოდელით, პოსტ კომუნისტური ნოსტალგია საბჭოთა სისტემის ნგრევის შედეგად მიღებულ კულტურულ ტრამვასთან პასიური ადაპტირების სტრატეგიას გულისხმობს, რომელშიც კომუნისტური წარსულის გამოცდილებების, ტრადიციებისა და რიტუალების აწმყოში გადმოტანა თანამედროვე პოსტ სოციალისტურ რეალობასთან ადაპტირების ერთგვარი მექანიზმია, გადმოტანა კი არაპირდაპრი გაგებით, წარსულში არსებულ ისტორიებსა და ეპიზოდებზე მუდმივ ორიენტირს გულისხმობს, მათ გარშემო განვითარებულ ნოსტალგიურ ნარატიულობასა და ცხოვრების თანამედროვე ფორმებთან მის დაპირისპირებას მოიაზრებს.

1.2. ემპირიული კვლევების მიმოხილვა

მოცემულ ქვეთავში აღწერილი კვლევების ძირითად მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოქმედებს პოსტსაბჭოთა ტრანზიციის შემდგომ განხორციელებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების კურსი პოსტ კომუნისტური საზოგადოებების შიგნით, განსხვავებულ სამ თაობაში (მამების, შვილების და შვილიშვილების თაობა) საბჭოთა კავშირთან მიმართებით წარმოქმნილ განწყობებზე, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე. მნიშვნელოვანია, იმის დაფიქსირება თუ როგორი ასახვა ჰპოვა სოციალიზმიდან კაპიტალიზმეზე, ხოლო ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე ტრანზიციის რთულმა პროცესმა ამ საზოგადოებებში მცხოვრებ ინდივიდთა ცხოვრებისეულ პრაქტიკებსა და გამოცდილებებზე, რამდენად გამოვლინდა მათში ახალი კაპიტალისტური წესრიგით იმედგაცრუება და მის ნიადაგზე პოსტ საბჭოთა ნოსტალგიის ფორმირება.

კვლევები აჩვენებს, რომ პოსტ საბჭოთა 15-ივე რესპუბლიკის მაგალითი თავისთავადი და სპეციფიურია, თითოეული ქვეყნის პოსტ კომუნიტური საზოგადოება, მასში არსებული განწყობებისა და დამოკიდებულებების სპექტრით, ქმნის ინდივიდუალურ სურათს და განსხვავდებდა სხვა დანარჩენისგან. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპის პოსტ კომუნისტური სახელმწიფოები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის პოსტ საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, საბჭოთა ნოსტლაგიის უფრო დაბალ დონეს აჩვენებენ, რასაც საფუძვლად კონკრეტული გარემოებები უდევს, ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის, სახელმწიფოებრიობის ტარდიციისა და საბჭოთა კავშირში მათი ყოფნის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ამდენად საქართველოს მაგალითსაც უნდა შევხედოთ, როგორც ინდივიდუალურ და განსაკუთრებულ მოვლენას, რომლის განხილვაც საფუძველშივე საკითხის კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს.

2012 წელს სომხეთის მოსახლეობაზე ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ნოსტალგიის ხარისხი და თვისობრიობა, სომხეთის საზოგადოებაში თაობების მიხედვით განსხვავდება. თვისებრივი მეთოდოლოგიით ჩატარებული 21 სიღრმისეული ინტერვიუ გამოკვეთს, რომ პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის დონე მასში ასაკთან ერთად

იზრდება. საკვლევ სამ კოჰორტაში კლასიკური ნოსტალგიური ნარატიულობა ახასიათებთ საბჭოთა თაობის წარმომადგენლებს (50წლიდან ზემოთ), ამბივალენტური ნოსტალგია მეორე თაობაში წარმოდგენილ 90იანების ახალგაზრდებს (41დან ზემოთ), ხოლო ნოსტალგია-ეიფორია მესამე, თანადროული ახალგაზრდების თაობას, რომლებიც საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ დაიბადნენ (Harutyunyan, 2013, p. 369). მოცემული კვლევის შედეგად მიღებული მიგნებები მიუთითებენ, რომ სომხეთში საბჭოთა ნოსტალგიას სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი განაპირობებს, რასაც ყველაზე მაღალი ხარისხით უფროსი თაობის წარმომადგენელები განიცდიან, ნოსტალგიური რეპროდუქციების კონკრეტულ გამოვლინებას მათში იწვევს ის სოციალური დანაკარგი, რომელიც საბჭოთა უფასო განათლებით, ჯანდაცვით, გარანტირებული სამუშაო ადგილებით, დაფინანსებული შვებულებებითა და სოციალურ აღიარებით გამოიხატება. კაპიტალისტურ წესრიგზე ტრანზიციის შედეგად დაკარგული ეს უპირატესობები კი ამ თაობის ნოსტალგიის ძირითადი განმაპირობებელია. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც პოსტ კომუნისტურ ეტაპზე მოპოვებულ დამოუკიდებლობას, გამოხატვის თავისუფლებასა და არჩევანის შესაძლებლობას მოცემული ეპოქის ძირითად მიღწევად წარმოადგენენ, კომუნისტური ნოსტალგიის მხოლოდ ჩანასახობრივ ვარიანტს ავითარებენ, რასაც მათში „ოჯახის მეხსიერება“ განაპირობებს, უფრო კონკრეტულად კი მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობისგან მოსმენილი საბჭოთა ისტორიების გავლენა, რაც აღნიშნულ თაობას საბჭოთა ეპოქის მიმართ რამდენადმე დადებითად განაწყობს. უნდა მიეთითოს, რომ სომხეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში, საბჭოთა ნოსტალგიის თვალსაზრისით ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფოა, რასაც დიდწილად მისი პრორუსული ორიენტაცია და სსრკ-ს სამართალმემკვიდრესთან ამ უკანასკნელის მჭიდრო ურთიერთობები განსაზღვრავს, ამდენად მოცემული კვლევის შედეგები, რაც სომხეთის საზოგადოებაში არსებულ გამოკვეთილ ნოსტალგიაზე მიუთითებს, დიდად გასაკვირი არ გახლავთ.

მოცემული კვლევის შედეგებთან გარკვეულ თანაკვეთაშია, ინგლჰარტისა და ვეზელის, ღირებულებათა მსოფლიო კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი ანალიზიც (2005), რომელიც 1981-2001 წლამდე შეგროვებული მონაცმების დამუშავებისა და განხილვას საფუძველზე, ასკვნის, რომ პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში ახალგაზრდა

და ძველი თაობის წარმომადგენლებს შორის ღირებულებათა შორის მკვეთრი სხვაობა არსებობს, რასაც მოცემული ნაშრომის პირობებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგებიც ცხადყოფენ, რომელთა განხილვაც მე-3 თავშია წარმოდგენილი. ამდენად, სოციოეკონომიკური განვითარების დონე, რაც თავის თავში განათლების კომპონენტსაც მოიაზრებს, სისტემატიურად ცვლის ინდივიდის ღირებულებებს ტრადიციულიდან სეკულარული ტიპის შეხედულებების დიაპაზონში.

მოცემულ სფეროში დაგროვებული ემპირიული გამოცდილება გამოკვეთს, რომ განწყობებისა და დამოკიდებულებების ხასიათს განათლების დონის ცვლადთან მჭიდრო კავშირი აქვს. საბჭოთა კავშირის დემონტაჟამდე, რამდენიმე წლით ადრე, 1989 წელს, სსრკ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ განათლებული რესპოდენტები (უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები) პოლიტიკურ ცვლილებებს უფრო მეტად ემხრობოდნენ, გამოკითხულების იმ ნაწილთან შედარებით, რომლებსაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ მიღებული, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საბჭოთა კავშირის შემდგომი დეზინტეგრაცია გარკვეულ კავშირს ჰპოვებს განათლებული მოქალაქეების ფაქტორთან, ასევე მნიშვნელოვან ცვლადებად გამოიკვეთა: ეთნიკურობა, ასაკი, შემოსავალი, გენდერი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილის ტიპი და ცხოვრების დონით კმაყოფილება (Finifter, 1992). აღნიშნული მიგნება მოდერნიზაციის თეორიის ხაზს აგრძელებს, რომლის თანახმადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საყოველთაოდ გაზრდილმა განათლების დონემ სსრკ-ში სახელმწიფოს მხრიდან დემოკრატიული ღირებულებებისა და კაპიტალისტური საზოგადოებისადმი მხარდაჭერა განაპირობა (Hahn, 1991). განათლება კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების მთავარი წამახალისებელია, ამიტომაც სსრკ-ში მცხოვრები ერუდირებული მოქალაქეების მხარდაჭერა პოლიტიკური ცვლილებების მიმართ, პოსტ კომუნისტური პერსპექტივდან ბუნებრივი და გასაგები მოცემულობაა, მითუმეტეს, რომ სისტემის დეზინტეგრაციას 80-იანი წლების დასასრულს, სხვა ალტერნატივა არც ჰქონია. განათლება კი ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორია, რადგან ის მოვლენათა რელევანტური შეფასების, გააზრებისა და გონივრული დასკნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, საბჭოთა სისტემის ნგრევის მოსალოდნელი სცენარი კი სწორედ ამ გონივრული დასკნის გამოვლინება გახლდათ.

პოსტ საბჭოთა სივრცეში, რუსეთი, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრე სახელმწიფო პოსტ კომუნისტური ნოსტალგიის კლასიკურ სურათს ქმნის, რაც გაცხადებულია კიდეც მის შიდა თუ გარე პოლიტიკაში. აღნიშნულს ცხადყოფს, 2005 წლის გაზაფხულს, ნიკოლიენკოს (2008) მიერ ჩატარებული კვლევა, რომელშიც რუსეთის მოსახლეობა პოსტ საბჭოთა საზოგადოებებს შორის საბჭოთა ნოსტალგიას ყველაზე მეტად განიცდის. აღნიშნულ კვლევაში რუსი და უკრაინელი ახალგაზრდების ნოსტალგიის ამსახველი პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთის გვერდიგვერდ ვითარდება, რაოდენობრივი მეთოდოლოგიით მიმდინარე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ: პოზიტიური კომენტარები საბჭოთა ნოსტალგიასთან დაკავშირებით რუსი ახალგაზრდების 37.4%-ს, ხოლო უკრაინელების 62.3%-ს აღმოაჩნდა, ნეგატიური დამოკიდებულება კი რუსების 62.6%-ს, ხოლო უკრაინლების 37.7%-ს. იმავე კვლევაში მიმოხილულია რუსეთის ეროვნული გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც 1999 წელს, რუსეთის მოქალაქეთა ზრდასრულ ნაწილში საბჭოთა ნოსტალგია 85%-ს აღწევდა. 2006 წლის გამოკითხვის შედეგებმა კი დააფიქსირა, რომ საბოჭთა კავშირის ნგრევით ახალგაზრდა რუსი რესპოდენტების (18-35წლამდე) 42% იყო დამწუხრებული, ხოლო ზრდასრული რესპოდენტების (36-54წლამდე) 70% განიცდიდა ამ ფაქტს, როგორც უარყოფითს. 2006 წლის, უკრაინის ეროვნული გამოკითხვის შედეგებში კი ფიგურირებდა უკრაინელი მოქალაქეების 59%, რომელიც საბჭოთა კავშირის დემონტაჟს, როგორც ნეგატიურს ისე განიხილავდა. მოცემული კვლევის თვისებრივ ნაწილში გამოიკვეთილი მიგნებებიდან აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფი, საბჭოთა კავშირის ნგრევის დადებით ასპექტებად ასახელებს: ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სხვადასახვა მრავალფეროვან სამომხმარებლო საქონელზე ღია წვდომას, დემონტაჟის შედეგად გამოწვეულ უარყოფით მოცემულობებად კი ესახებათ „ეკონომიკისა და სოციალური უსაფრთხოების კლება, საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუარესება. მოცემულ კვლევაში ჩანს, რომ ორივე ქვეყნის ახალგაზრდებში ეროვნული სიამაყის მაღალი ხარისხი ფიგურირებს (Harutyunyan, 2013, გვ. 374).

2009 წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა (18-39წ) მიერ საბჭოთა რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ თავიანთ ქვეყნებში განხორციელებული პოლიტიკურ-ეკონომიკური

ცვლილებების პოზიტიური აღქმა მეტადრე ინდივიდუალურია და განზოგადებას ნაკლებად ექვემდებარება, თუმცა მათ მიერ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა ცალსახა და რაოდენობრივად აღმატებულია ზრდასრული თაობის წარმომადგენელთა რესპოდენტებთან შედარებით, რომლებიც სახელმწიფოს მიერ სრულად მართული ეკონომიკური წესრიგის მომხრენი არიან. თუმცა, უნდა აღინიშოს, რომ ორივე ასაკობრივ ჯგუფს მსგავსი შეხედულებები აქვს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რაც საბჭოთა რეჟიმის დემონტაჟის დადებით ასპექტებად არის აღქმული(Harutyunyan, 2013, გვ. 375).

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევა, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსაც აერთიანებდა, მთელი რიგი მიგნებების გამოკვეთის საშულებას იძლევა. მოცემულ კვლევაში პრეამბულაციის მეთოდი გამოიყენება, ამდენად კვლევის ერთი ნაწილი თვისებრივი მეთოდოლოგიის, ხოლო მეორე კი რაოდენობრივი მეთოდოლოგიის მიხედვით ორიენტირდება. მონაცემები გროვდებოდა 1981 წლიდან 2008 წლამდე შუალედში. კვლების სუბიექტებს წარმოადგენდნენ 1909-1930, 1931-1951, 1951-1972, 1973-1990 წლებში დაბადებული თაობები. კვლევის რაოდენობრივ ნაწილში გამოვლენილ ორ ძირითად მიგნებათა შორის ფიგურირებს: 1. წინა რეჟიმისა და სახელმწიფოს დომინანტი როლის მიმართ არსებული ნოსტალგია პირველ ორ თაობაში. (1909 -1930. 1931-1951) 2. სახელმწიფო რეგულაციებისადმი უარყოფითი განწყობა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობისადმი დადებითი დამოკიდებულება ახალგაზრდა/ტრანზიციულ თაობებში. (1970-1990.) 3. დემოკრატიის მიმართ დაბალი ხარისხის მხარდაჭერა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ყველა თაობაში, ახალგაზრდა თაობის ოდნავ მაღალი მხარდაჭერით. თვისებრივი მეთოდოლოგიით წარმოებულ 30 სიღრმისეულ ინტერვიუში კი გამოჩნდა რომ 1980 წელს დაბადებულ რესპოდენტთა უმრავლესობა საბჭოთა რეჟიმს დადებითად ისეთი ტერმინების გამოყენებით ახასიათებდა, რომლებიც ძირითადად სოციალურ და ეკონომიკურ დაცულობაზე მიუთითებენ: „სტაბილურობა“, „დაზღვეული სამუშაო ადგილები“. ნეგატიურ ასპექტებში კი იმგვარ ფაქტორებს ასახელებდნენ როგორიცა არის: პროდუქტების

დეფიციტი, საქონლისთვის მუდმივად რიგში დგომა. პოსტსაბჭოთა პერიოდის დახასიათებისას კი დომინანტ უარყოფით ასპექტებად სახელდებოდა: კრიმინალი, ფული, როგორც ერთადერთი ღირებულება და კონკურენცია. აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნებაა, რომ ევროკავშირის წევრმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა უფრო მარტივად გადაიტანეს საბჭოთა ტრანზიციის პროცესი, ვიდრე ევროკავშირის არაწევრმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, რომელთა რიგებშიც ბუნებრივია საქართველოც მოიაზრება.

პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ჩატარებული ემპირიული კვლევების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა ნოსტალგია პოსტსოციალისტურ საზოგადოებებში ამ დრომდე გამოკვეთილი კომპლექსური პრობლემაა, რომელიც ქვეყნების მიხედვით ხარისხობრივად განსხავავდება. თითოეული ქვეყნის შიდა აუდიტორიაში კი თაობების და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, განსხვავებული სურათი იქმნება. მამებისა და შვილების თაობა, რომელიც საბჭოთა სისტემაში ცხოვრების გამოცდილებას ფლობს არის უფრო ნოსტალგიური იმ წარსულის მიმართ, რომელიც ახალგაზრდა, შვილიშვილების თაობას საკუთარ თავზე არასდროს გამოუცდია, ამდენად ნოსტალგიური ჩანასახების ნებისმიერი გამოვლინება მასში ირიბი სახით მიღებულ გამოცდილებებსა და ინფორმაციის სხვა წყაროებს ეყრდნობა.

თავი II

კაპიტალისტურ წესრიგზე ტრანზიცია

მოცემული თავი კაპიტალისტურ ეკონომიკაზე ტრანზიციისა და კომუნისტური სისტემის დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ხასიათს, მათ თვისობრიობასა და ქართულ რეალობაზე აღნიშნული ფაქტორების გავლენას აანალიზებს. კვლევის დამოუკიდებელი ცვლადი გახლავთ პოსტსაბჭოური პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტე, მის ფონზე წარმოშობილი პოსტ საბჭოთა ნოსტლაგია კი კვლევის დამოკიდებულ ცვლადს ავითარებს. მოცემული თავის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგების პოსტსაბჭოთა ნოსტალგიასთან მიმართებით დაფიქსირება და იმ დომინანტი სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების გამოკვეთა, რამაც საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საბჭოთა ნოსტალგია წარმოქმნა. მოცემული თავის მიზანი არ გახლავთ 1991 წლიდან თანადროულ პერიოდამდე, საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმების დეტალური მიმოხილვა, არამედ ზოგადი სურათის შექმნა, პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე ქვეყნის დღის წესრიგში ფორმირებული სირთულეებისა და შედეგად მიღებული სუსტი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების შესახებ.

2.1. „შოკური თერაპია“

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილი „შოკური თერაპიის“ ძირითადი მახასიათებლების განხილვა მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც „შოკური თერაპიით“ რეფორმირებული ეკონომიკა, მოცემული ნაშრომის ძირითად ცვლადად წარმოდგენილი ტრანზიციული პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტის განმაპირობებლ მიზეზს წარმოადგენს, რომლის ბაზაზეც, კვლევის დაშვების თანახმად პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის ფენომენი ყალიბდება. სწორედ, შოკური თერაპიით განხორციელბულმა ეკონომიკური ტრანსფორმაციის კურსმა დააყენა ქართული პოსტ კომუნისტური საზოგადოება მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რომელთა გადალახვაც არსებულ ეტაპზე საკმარისად რთულ მოცემულობას

ქმნიდა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო, თავდაპირველად ლატენტურ დონეზე აღმოცენებული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქების სოციალურ კონტექსტებს შორის მიმდინარე გარკვეული ტიპის კონფრონტაცია, რომელშიც საბჭოთა სისტემის სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრხთოებას 90-იანების პოსტკომუნისტური ეკონომიკის მყიფე და მოწყვლადი გარემო დაუპირისპირდა. ამ კონფრონტაციაში კი სიღარიბის, უმუშევრობისა და ეკონომიკური განუვითარებლობის მაღალი მაჩვენებლები პოსტ კომუნისტური ნოსტალგიის ერთგვარ წამახალისებლად ფორმირდნენ.

სწორედ შოკური თერაპიით რეალიზებული ეკონომიკური რეფორმების თვისობრიობა ქმნის, მოცემული ნაშრომის ჰიპოთეტური დაშვების ერთგვარ ქვაკუთხედს, რომლის ზოგადი აღწერაც ცხადყოფს, რომ გარდამავალ პერიოდში მას სხვა ალტერნატივა არ ჰქონია.

პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმების გარშემო არსებული თეორიული განზოგადებების საფუძველზე, პრაქტიკოსი რეფორმატორები და მეცნიერ-ეკონომისტები ცვლილებების განსაზღვრული კურსის მხარდამჭერებად გვევლინებიან. მათი ნაწილი პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ რეფორმებში „შოკის“ მომხრეა, მეორე მხრივ კი არსებობენ გრადუალისტები, რომლებიც ცვლილებების გრადუალურ, თანდათანობით განხორციელებას უჭერენ მხარს (პაპავა, 2015, გვ. 37).

„განმარტებისთვის, „შოკური თერაპია იგივე „დიდი აფეთქება“ „დიდი დარტყმა“ ან „მწარე აბი“ რადიკალური გარდაქმნების რიცხვის უმოკლეს ვადებში მაქსიმიზებას გულისხმობს, ამდენად თუ კი გრადუალისტები გამოდიან რა თანდათანობით, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად, „შოკური თერაპიის“ მეთოდის კრიტიკას, დაჩქარებული ტემპებით რეფორმის განხორციელებისას, მისი ცალკეული ასპექტების დაპირისპირებულობისა და შეუთავსებლობის ილუსტრირებაზე აგებენ“ (იგივე, 2015, გვ. 38). რაც სამართლიანად წარმოშობს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ „შოკური თერაპია“, რისკ ფაქტორებისა და საფრთხეების უფრო მეტ რაოდენობას შეიცავს, მისი ოპოზიციური მიმართულებისგან განსხვავებით, რომელიც ხანგრძლივ ვადებში განსახორციელებელი რეფორმების პაკეტსა და დროში გაწერილ ეკონომიკურ სტრატეგიას გულისხმობს.

საქართველოს მიერ პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე ეკონომიკური რეფორმების შოკური თერაპიით განხორციელება არ გახლდათ შემთხვევითი გადაწყვეტილება, და მეტადრე აღნიშნულ ეტაპზე არსებული ობიექტური მოცემულობებით იყო განპირობებული, კერძოდ ორი გარემოებით გახლდათ ნაკარნახევი:

- 90-იანი წლების დასაწყისს საქართველოს მთავრობას არ ჰქონდა იმის პოლიტიკური გარანტია, რომ მოსახლეობა ნებისმიერ შემთხვევაში დადებითად შეაფასებდა მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს. მეორე მხრივ კი, ნაწილობრივი ლიბერალიზაციის დაწყების შემდეგ იმის გარანტია არ გააჩნდა, რომ ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლის შენარჩუნებას ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებდა. (პაპავა, 2015, გვ. 38)
- გარდა ამისა, ეკონომიკური ცვლილებების განსახორციელებლად, ქვეყანას ფინანსური მხარდაჭერა თავად უნდა უზრუნველეყო (იგივე , გვ. 38).

საქართველოს შემთხვევაში სწორედ ზემოთხსენებული ორი ფაქტორი ფიგურირებდა, აღნიშნულის საფუძველზე კი არჩევანი „შოკურ თერაპიასა“ და ეკონომიკური ცვილებების რაც შეიძლება მოკლედ დროში მაქსიმიზებაზე ბუნებრივად გაკეთდა, მეტადრე რომ გრადუალისტური სტრატეგიის გამოყენება ამ არასტაბილურ პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი გახლდათ.

თუმცა, საკითხი იმის თაობაზე რამდენად მზად იყო ქვეყანა აღნიშნული რეფორმებისთვის, დღემდე აქტალური განსჯის საგანს წარმოადგენს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ, 1992 წელს, ეკონომიკური ტრანსფორმაციის კურსის საწყის ეტაპზე, ქვეყანას სახელმწიფო ინსტიტუტები ფაქტობრივად არ გააჩნდა, სწორედ ამ დროს, დღის წესრგიში მდგარი ორი ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა გახდა საჭირო, ერთი მხრივ ეს პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობა, მეორე მხრივ კი ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იყო. საქართველოს ბედს იზიარებდნენ სხვა პოსტკომუნისტური სახელმწიფოებიც, რუსეთის გამოკლებით, რომლესაც საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ ყველა სახლემწიფოებრივი ატრიბუტი შერჩა (Schmitter, 1994).

უფრო ცხადად, რომ გამოვკვეთოთ, სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობა შოკური თერაპიის მეთოდის განხორციელებისას ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ მოქმედებაში გამოიხატებოდა, რომლის გარეშეც შოკური თერაპიის რეალიზების ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის იყო განწირული, საქართველოს მაგალითი კი სწორედ ამგავრი მარცხის პოტენციურ რისკებს ატარებდა, რადგან სახელმწიფობრიობის განმსაზღვრელი ძირითადი ინსტიტუტები მას არსებული პერიოდისთვის (1991-1993) ფაქტობრივად არ გააჩნდა.

სამართლიანია იმის დაშვება, რომ სწორედ ამ პერიოდიდან „შოკური თერაპიის“ დესტრუქციული შედეგებით უკმაყოფილო პოსტკომუნსტური საზოგადოება კომუნისტურ წარსულსა და საბჭოთა სოცილურ-ეკონომიკურ სტრუქტურებზე ნოსტალგიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას იწყებს, რასაც ძირითად საფუძველს იმ დროისთვის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი უმაგრებს: უმუშევრობა, სიღარიბე, კრიმინალი, კორუფიცა და სხვა, რომლებიც „შოკური თერაპიის“ პირდაპირ შედეგებს წარმოადგენენ.

მაგალითისთვის, 1990-1994 წლებში ეკონომიკამ სამჯერადი ვარდნა განიცადა, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველოს ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტის, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციებისა და რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან კრიზისს წააწყდა (ბალცეროვიჩი, 2002). ეკონომიკური კრიზისა და მძიმე სოციალური ფონის პარალელურად კი ამ პერიოდისთვის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში წარმოქმნილმა კონფლიქტურმა სიტუაციამ საზოგადოების განვითარების ტემპები კიდევ უფრო შეაფერხა.

სწორედ ამ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტიდან წარმოდგა, თავდაპირველად პოსტ კომუნისტური ნოსტალგიის საწყისები საზოგადოების განსხავებულ ასაკობრივ ჯგუფებში.

2.2 „ვაშინგტონის კონსენსუსის“ რისკ ფაქტორები

„შოკური თერაპიის“ პარალელურად პოსტკომუნისტური ეკონომიკის რეფორმირებაში საკვანძო როლი შეასრულა „ვაშინგტონის კონსენსუსმა“, რომელიც „შოკური თერაპიის“ იდენტურ, ტრანსფორმაციული პროცესებისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომებისა და რეკომენდაციების ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენს. (ბალცეროვიჩი, 2002).

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შემდეგ, საერთაშორისო დონორები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი) 15 ახლად წარმოქმნილი სახელმიწიფოს სამომავლო პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ რეკომენდაციებისა და პროგრამების შემუშავებაში ჩაერთვნენ. მათ მიერ შემოთავაზებული განვითარების გეგმა ცენტრალიზებული ეკონომიკიდან ლიბერალურ-დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკისკენ მიმართული სოციალური წესრიგის დანერგვას ეყრდნობოდა, რომელსაც ტრანიზციის ეტაპზე მყოფი პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნები უნდა მოეცვა (Mandel, 2012, p. 223). სწორედ განვითარების აღნიშნულ პროგრამას წარმოადგენდა ვაშინგტონის კონსენსუსი, რომელიც თავდაპირველად, 1980იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად შეიქმნა. „მის მთავარ პოსტულატებს ქმნიდნენ: ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საბიუჯეტო კონსოლიდაცია, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ბაზრების დერეგულაცია და მთავრობის მიერ მართული ეკონომიკური საქმიანობების პრივატიზაცია“ (ISET POLICYI INSTITUTE, 2014, 4th paragraph).

თავიდანვე არსებობდა მოლოდინი, რომ პოსტსოციალისტურ საზოგადოებაში ლიბერალური დემოკრატიების გადმოტანის ეს მოდელი ბევრ რისკ ფაქტორს გააქტიურებდა და საბოლოოდ არასახარბიელო შედეგებს აჩვენებდა, ვინაიდან თავდაპირველად ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის შექმნილი აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებდა გარდამავალი ეკონომიკების ისეთ სპეციფიურ მახასიათებლებს, როგორიც არის: კერძო საკუთრების არ არსებობა და არაეფექტიანად მომუშავე ინდუსტრიები.

გარდა ამისა, ვაშინგტონის კონსენსუსი „შეიცავდა ფატალურ ნაკლს: იგი უშვებდა, რომ შესაძლებელია ეფექტიანი ბაზრების შესაქმნელად გატარდეს საბაზრო რეფორმები პოლიტიკური ინსტიტუტების თანამდევი რეფორმების გარეშე, რომელიც ზღუდავს მთავრობას და ახდენს საკუთრების უფლებებისა და ინდივიდუალური თავისუფლების გარანტირებას“ (ნორთი, 2007). მოცემული დაშვების ძირითად მამოძრავებელ იდეას წარმოადგენს გარემოება, რომელშიც „თავისუფალი ბაზარი“ პოლიტიკის მიღმა ვერ იარსებებს და ნებისმიერი მცდელობა, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების გათვალისწინების გარეშე შევისწავლოთ და ვიმოქმედოთ მასზე მარცხისთვის არის განწირული, რადგანაც მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე, იმ სახელშეკრულებო და საკუთრების უფლებების ფორმირება/უზრუნველყოფა, რომლის ბაზაზეც იქმნება საბაზრო წესრიგი, შეუძლებელ მოცემულობას წარმოადგენს (ნორთი, 2007).

ზემოთხსენებული დაშვება მიუთითებს, რომ „ვაშინგტონის კონსენსუს”-ში მოცემული რეკომენდაციები სათანადოდ არ ითვალისწინებდნენ პოლიტიკური ინსტიტუტების ფაქტორს ახლად წარმოქმნილ პოსტსაბჭოთა 15 რესპუბლიკისთვის, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური ინსტიტუტები ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ნაკლებად ფლობდნენ იმის პოტენციალს, რომ საბაზრო კაპიტალიზმზე ტრანზიციის პროცესში მდგრადი წინაპრობები შეეთავაზებინათ ბაზარზე მოქმედი აქტორებისთვის, რაც ძირითადად შრომის უფლებების დაცვაში, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებულ სამართლებრივად მხარდაჭრილ ინტერაქციასა და მყარ სახელშეკრულებო ურთიერთობებში უნდა გამოხატულიყო.

ამდენად, „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ე.წ. აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმის იგნორირება და სანაცვლოდ, მაქსიმალური კონცენტრირება ეკონომიკური ტრანსფორმაციის კურსზე, მაშინ როდესაც „პოლიტიკური ინსტიტუტების შესაბამისი მოწყობის გარეშე, რომელიც მთავრობასა და მთავრობის შიგნით ინდივიდების თავისუფლების შეზღუდვას უზრუნველყოფს“ (ნორთი, 2007), სიცოცხლისუნარიანი ბაზრის განხორციელება რამდენადმე შეუძლებელია.

შეგვიძლია ვთქვთ, რომ „ვაშინგტონის კონსენუსმა“ შეზღუდული მთავრობის პრინციპი პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე მყოფი სახელმწიფოებისთვის სათანადოდ ვერ გაითვალისწინა, როდესაც პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმირების კომპონენტი მის სტრატეგიაში საფუძველშივე უყურადღებოდ დატოვა და მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების გატარებას მიენდო. ამ პირობებში, პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში, სუსტი, ჩანასახობრივი პოლიტიკური ინსტიტუტები მთავრობის თვითნებურ მოქმედებას ბაზარზე ფართო ასპარეზს უხსნიდა, მაშინ როდესაც შესაბამისად მოწყობილ ინსტიტუტებს მსგავსი ჩარევების აღსაკვეთად მარეგულირებლის როლი უნდა ეთამაშათ. შედეგად, ბაზარზე ფორმირებული არათანაბარი გარემო მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაპირობად შეიქნა: უმუშევრობა, სიღარიბე, კლასობრივი უთანასწორობა, კორუფცია, ავტორიტარიზმი და სხვა.

სუსტმა და არაჯანსაღმა ინსტიტუციურმა გარემომ ვერ უზრუნველყო ბაზრის თავისუფლება და მის პირობებში მოღვაწე აქტორების ინტერესთა დაკმაყოფილება, რაც მოცემულ ნაშრომში პოსტსაბჭოთა ეკონომიკური სტრუქტურების მიმართ ნოსტალგიური დამოკიდებულების მთავარ მიზეზად განიხილება. უფრო კონკრეტულად, განვითარების კურსის ძირითად დღის წესრიგს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის ბაზრის რეფორმა წარმოადგენდა, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტებისა და დამხმარე კანონმდებლობის ფართო სპექტრს მოიცავდა, მცირე ბიზნესიდან „ბაზრის მსხვილ მოთამაშეებამდე“. ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო წესრიგზე ტრანზიცია ამ სივრცეში ძირითადი ბარიერის სახით წააწყდა კორუფციის პრობლემას.

ეკონომისტი დანი როდრიკი მიუთითებს: „მიუხედავად იმისა, რომ „ვაშინგტონის კონსენსუსთან“ დაკავშირებით ექსპერტთა და ოპონენტთა მოსაზრებები განსხვავებულია, სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ამ ეტპზე უკვე აღარავის სჯერა. დღეს საკითხი არ ისმევა იმასთან დაკავშირებით ის მოქმედია თუ პასიური, არამედ განსახილველი ის არის მისი ალტერნატივა რა უნდა გახდეს“ (Mandel, 2012, p. 225).

2.3. საქართველოს გამოცდილება

მეორე ქვეთავში მოცემული ზოგადი სურათი უნდა დავავიწროვოთ ქართულ მოდელზე, და განვიხილოთ ისე სპეციფიური სცენარი, რომელიც ტრანზიციის მოდელის ქართულ ვარიანტს ქმნის.

1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა სხვა რესპუბლიკების მსგავსად საქართველოც „ვაშინგტონის კონენსუსის“ რეკომენდაციებს მიჰყვა გეგმიური ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო კაპიტალისტურ წესრიგზე ტრანზიციის პროცესში. დანარჩენი მაგალითების კვალდაკვალ ქართულ მოდელშიც პირდაპირ იქნა ეკონომიკური რეფორმები გადმოტანილი, ისე რომ „უკონტროლო კაპიტალიზმის“ რისკ ფაქტორები არ გათვალისწინებულა. ქართული საზოგადოება, რომელიც საბჭოთა სისტემის 70 წლიანი დომინაციის პირობებში გეგმიურ ეკონომიკას იყო მიჩვეული, გარდამავალი პერიოდისთვის რამდენადმე მოუმზადებელი აღმოჩნდა და ის უნარები და გამოცდილება, რომელსაც საბაზრო ეკონომიკაში წარმატების მიღწევა მოითხოვდა, ვერ გამოავლინა. შედეგად, ტრანზიციის ეტაპზე სიმდიდრე საზოგადოების მცირე ჯგუფებში კონცენტრირდა, დარჩენილი ნაწილი კი უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა (ISET POLICYI INSTITUTE, 2014).

ახალი რეგულაციები, რომლებიც გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ სფეროს შეეხო გამოწვევების ორ ძირითად ტიპს ავითარებდა:

- ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის იმპლემენტაციაც 1997 წელს განხორციელდა, საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. მისი თავდაპირველი ვერსია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებულ ჰიპოთეტურ საგადასახადო კოდექსის თეორიულ ჩარჩოს ეყდნობოდა და ქართული რეალობის სპეციფიკას ნაკლებად ითვალისწინებდა. ქართული საგადასახადო კოდექსი შეიცავდა მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რაც ძირითადად თარგმანის პრობლემითა და მასში გაწერილი არასწორი რეგულაციებით იყო

განპირობებული. შემდგომ ეტაპზე შეტანილმა ცვილებებმა კი (300 ცვლილება და 1000 დებულება) კომპანიებს მისი დაცვა და აღნიშნულის მიხედვით მოქმედება გაურთულა, ამდენად გაუმართავმა საგადასახადო კოდექსმა კორუფციის წახალისება მოახდინა და კომპანიებს გადასახადების შემომკრებლების მოსყიდვისკენ უბიძგა, რაც საგადასახადო ტვირთის შემცირების სანაცვლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ გაღებულ ქრთამს გულისხმობდა. საქართველოსთვის ეს იყო დიდი გაკვეთილი გაუთვალისწინებელი შედეგებით (Jandieri, 2016).

- რეგუალციები - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი საბჭოთა რეგუალციები და მარეგულირებელი ინსტიტუტები სრულიად მიტოვებულ იქნა, დამოუკიდებლობის მიღებიდან პირველი ოთხი წლის განმავლობაში კი ქვეყანაში კანონებისა და ბიუჯეტის მიღება ფაქტობრივად არ ხდებოდა. 1995 წლიდან, საქართველოსთვის ეკონომიკური რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო დონორების მიერ მთელი რიგი რეკომენდაციები გაიცა, თუმცა მათში პრივატიზაციის დაჩქარებისა და სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარების ნაცვლად, ყურადღება სახელმწიფოს ბაზრის ფარგლებში მიმდინარე ინტერვენციაზე იყო გამახვილებული. სწორედ ამ ეტაპიდან მოიცა მარეგულიერებელი წესების მთელი რიგი, რაც ქართულ ბიზნეს კომპანიებში დასავლური სტანდარტების გადმოტანას ითვალისწინებდა. რეალურად ყველა სფეროში მოხდა მკაცრი რეგულაციების მიღება (გარემოს დაცვა, შრომის უფლებები, ენერგოუსაფრთხოება, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები და სხვა) ერთი შეხედვით გონივრული რეგულაციები ქართული რეალობისთვის კორუფციის წამახალისებელი აღმოჩნდა, რადგან მათი გატარება და დაცვა ბიზნეს კომპანიებისთვის საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდებოდა, სწორედ ამ ეტაპზე საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კორუფციული სახლმწიფო გახდა, სადაც ქრთამის აღება და თანხების გამოძალვა ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიდა. 2005 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის მსოფლიო კვლევის მონაცემებით კორუფციის ინდექსის მიხედვით საქართველო 132-ე ადგილზე იყო (Jandieri, 2016).

ზემოთხსენებული გამოწვევების ძირითად პრობლემას წარმოადგენს დასავლურ სტანდარტებზე მორგებული რეგულაციები, რომლებიც პოსტკომუნისტური საზოგადოებისთვის თემატურად ახალი და შესაგუებლად საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან მათში ჩადებული რეკომენდაციები პოსტკომუნისტურ ეკონომიკაზე მეტად განვითარებადი საბაზრო ეკონომიკისთვის იყო გათვლილი. მასში არ იქნა გათვალისწინებული ქართული რეალობისთვის სპეციფიური მახასიათებლები: კერძო საკუთრების არ არსებობა, საწარმოო-ინდუსტრიული განვითარების მნიშვნელობა და საბჭოთა გეგმიური ეკონომიკისთვის სახასიათო ყველა სხვა ელემენტი, რაც საზოგადოების კულტურულ დისორიენტაციასა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მიმართ გარკვეული სახის სკეპტიციზმს დაედო საფუძვლად. აღნიშნულმა კი, პოსტკომუნიტური საზოგადოებისთვის, ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებზე ტრანზიციას სერიოზული წინაღობები და ახალ წესრიგთან ადაპტაციისთვის რთული პირობები შეუქმნა, სწორედ ამ ეტაპზე, მოცემული ნაშრომის ძირითადი დაშვების თანახმად, პოსტკომუნისტურ საზოგადოებას ერთგვარ დამხმარე მექანიზმად ევლინება ნოსტლაგია, რომელიც ახალ გარდამავალ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტებთან მის შეგუებასა და ადაპტირებას განაპირობებს.

თავი III

პოსტსაბჭოთა ნოსტალგია

მოცემული თავი აანალიზებს კვლევის პროცესში განხორციელებული ინტერვიუების შედეგებს: სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებული 26 სიღრმისეული ინტერვიუს მიგნებებსა და იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც მოცემულ სამ თაობაში პოსტ საბჭოთა ნოსტალგიასთან მიმართებით გამოიკვეთა. აღნიშნული თავის მიზანია ძირითადი საკვლევი ჰიპოთეზის დატესტვა და პასუხის მიღება კითხვაზე: თუ რამდენად განაპირობებს ტრანზიციის ეტაპზე წარმოქმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტე პოსტ კომუნისტური ნოსტალგიის ფორმირებას საზოგადეობის სამ განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფში (G1, G2, G3, თაობა).

3.1. გამოკვეთილი ტენდენციები (G1 თაობა)

მოცემული ქვეთავი აანალიზებს პირველ საკვლევ ჯგუფში შემავალი რეპოდენტების, რომელთაც პირობითად G1 თაობად მოვიხსენიებთ, დამოკიდებულებებსა და განწყობებს საბჭოთა კომუნისტურ სისტემასთან მიმართებით.

ზოგადი აღწერისთვის უნდა ითქვას, რომ მოცემულ კოჰორტაში შედიან საბჭოთა თაობის წარმომადგენლები, კომუნისტური სისტემის პირობებში დაბადებული და სოციალიზირებული ინდივიდები, რომელთაც, აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის ნგრევა მკვეთრად გამოხატულ კულტურულ ტრამვად აღიქვეს. კვლევის პროცესში მათ მიერ დახასიათებული საბჭოთა ეპოქის ზოგადი სურათი ამგავრად წარმოდგება: სისტემა, რომელშიც სახელმწიფო მუდამ მოქალაქის გვერდში იდგა, ამარაგებდა მას ყველა საჭირო რესურსით: საკვებით, საცხოვრებლით, უფასო და მაღალი ხარისხის განათლებით, მეცნიერებითა და კულტურით, რომელსაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფოსგან გამოცხადებული. „სამუშაო ადგილები

ყველასთვის“ არის ფრაზა, რომელიც ინტენსიურად დომინირებს ამ თაობაში - ზედაპრული დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ჯგუფი, რომელსაც მკვეთრად გამოხატული საბჭოთა ნოსტალგია ახასიათებს.

თუმცა, G1 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების სიღრმისეული ანალიზი გაცილებით უფრო კომპლექსურ სურათს გამოკვეთს, რომელშიც განსაკუთრებული დატვირთვა პოსტ საბჭოთა ნოსტალგიისთვის დამახასიათებელ ძირითად ტენდენციას ენიჭება, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტსს, რომელიც პოსტ კომუნისტური ნოსტალგიის მთავარი განმაპირობებელია. ამ გაგებით, სოციალური კონტექსტი, რომლშიც თავად პროტაგონისტი (რესპოდენტი) იმყოფება დიდწილად განსაზღვრავს ნოსტალგიური რეპროდუქციების ხასიათსა და თვისობრიობას. აღნიშნული თაობის წევრებს კი, რომელთაც ძირითადად პენსიონრები შეადგენენ, აქვთ საკმაოდ არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა, რაც პირდაპირი გავლენით აისახება მათ ნოსტალგიაზე საბჭოთა ეპოქასთან მიმართებით.

მოცემულს ცხადყოფს, ისიც, რომ პოსტ საბჭოთა ნოსტალგიას მათში ლინგვისტური თვალსაზრისით ერთგვაროვანი გამოხმაურება აქვს. ეს არის მეტწილად სტაბილური, უცვლელი „საერთო ენა“, რომლითაც გამოიხატება ნოსტალგიური მიმართება საბჭოთა ეპოქისადმი: „დისციპლინა“ „წესრიგზე ორიენტირებული წყობა“, „უზრუნველი ცხოვრება“, „უფასო განათლება და ჯანდაცვა“, „სამუშაო ადგილები ყველასთვის“, ასე ჰომოგენურად აღწერენ საბჭოთა რეჟიმის ძირითად მახასიათებლებს ამ თაობის რესპოდენტები.

თაობა, რომელმაც თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი საბჭოთა სისტემის ფარგლებში გამოიარა, ინტენსიურად არტიკულირებს ფრაზას „როგორი იყო ერთ დროს ცხოვრება“ , რომელსაც ძირითადად შედარებითი დატვირთვა აქვს, არსებულ პოსტ საბჭოთა ეპოქასთან მიმართებით:

„მაშინ ადამიანს, ეკონომიკური თვალსაზრისით ფიქრი არ ჰქონდა ხვალინდელი დღის, სამუშოს გამო დასდევდნენ მათ, ვინც არ მუშაობდა. დღეს კი ახალგაზრდები ვერ შოულობენ სამსახურს, სახელმწიფო კი არ ცდილობს მათ დასაქმებას“ [პენსიონერი, 80 წლის, ქ.გორი].

„მახსოვს მზიან დღეს ფოსტის წინ გამოდოდნენ ხოლმე ახალგაზრდები, პოლიცია ადგებოდა თავზე და მათ ვინც არ მუშაობდა, მუშაობას აწყებინებდა“[პენსიონერი, 81 წლის, ქ.გორი].

„დემოკრატია და დამოუკიდებლობა არ ნიშნავს „მშიერ მუცელს“, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი რამ, რომ მოქალაქემ იგრძნოს ამ წყობის სიკეთე“ [პენსიონერი, 79 წლის, ქ.თბილისი].

რესპოდენტები სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ფოკუსირებენ, მათი ენა აღწერილობითი და შეფასებითია. ისინი საუბრისას ეყრდნობიან წარსულ გამოცდილებებს, რომლის ფარგლებშიც სიტუაციურად და პოზიციურად განსაზღვრავენ საკუთარ თავს:

„ნოსტალგია მაქვს იმისი, რომ ძველად შემეძლო 5-6 კაცი დამეპატიჟა სადილად რესტორნაში, ახლა კი ამის შესაძლებლობა არ მაქვს“ [პენსიონერი, 80 წლის, ქ.გორი].

„ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ვიყავი, ერთი იყო ის, რომ ქონებას ვერ გამოაჩენდი, დაგითვლიდნენ, საიდან, როგორ, რანაირად ეს იყო ცუდი.“[პენსიონერი,

აღნიშნული თაობის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დისციპლინის საკითხზე და სისტემურ ქაოსზე, რაც თანადროული ეპოქის მახასიათებლად მიაჩნიათ: *„ის სისტემა გაცილებით სამართლიანი იყო ვიდრე ახლადენლი სისტემაა. იდეა ქონდათ და იმაზე მუშაობდნენ. კანონს ფლობდნენ, იცოდნენ რა მიზანი ამოძრავებდათ. დღეს კი არ ვიცით რა გვინდა, “ [პენსიონერი, 81 წლის, ქ. გორი]*

რესპოდენტებში იგრძნობა კერძო საკუთრების პრინციპზე დაფუძნებული საბაზრო კაპიტალზიმის მიმართ ნეგატური დამოკიდებულება, რასაც სოციალურად ორიენტირებულ კომინისტურ წყობას უპირისპირებენ:

„მაშინ ადამიანი სოციალურად ყოველმხრივ დაცული იყო. დღეს სახელმწიფოს არაფერი არ აინტერესებს: რკინიგზა არ მინდა, ქარხანა არ მინდა კერძოა, კერძოა. აბა სახელმწიფოს რატომ ვქმნით? სახელწიფო იქმნება იმისათვის, რომ დაიცვას თავისი საზოგადოება. ეს სისტემა კი არის ჩამოუყალიბებელი.“ [პენსიონერი, 80 წლის, ქ.გორი].

როდესაც იდეალური საზოგადოების საკითხი შემოდის ინტერვიუში, ამ თაობის რესპოდენტთაგან უმრავლესობა ჩინეთის მაგალითს იშველიებს და ხაზს უსვამს კომუნისტური პარტიისა და კაპიტალისტური ეკონომიკის სინთეზის აუცილებლობას:

„ჩინეთის მაგალითი ჩემთვის არის იდეალური საზოაგდოების ნიმუში, მე იქ არ მიცხოვრია, მაგრამ მგონია, რომ საბაზრო კაპიტალიზმის და სოციალიზმის შერევა ამართლებს“ [*პენსიონერი,79 წლის, ქ.თბილისი].*

თუმცა ეს წინააღმდეგობაში მოდის მათ თავდაპირველ პოზიციებთან, როდესაც ინტერვიუს დასაწყისში ყველა მათგანი სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობებზე კონცენტრირდება და პირდაპირ მიუთითებს, რომ მათი ნოსტალგიის ძირითად მიზეზს აღნიშნული ფაქტორი წარმოადგენს, ჩინეთის ეკონომიკა კი მისგან საპირისპირო კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპებს გულისხმობს.

ზემოთხსენებული მიუთითებს პოსტ საბჭოთა ნოსტალგიის კიდევ ერთ ტენდენციას, მის წინააღმდეგობრიობასა და კომპლექსურობას. ნოსტალგია კომპლექსურია იმდენად რამდენადაც თავის თავში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და პოლიტიკური საკითხების მთელ რიგს მოიცავს, რომლებიც თავს სოციალურ კონტექსტში იყრიან, ინდივიდები კი სწორედ სოციალური კონტექსტებიდან პოზიციონირებენ, როდესაც წარსულ გამოცდილებებსა და პრაქტიკებს იხსენებენ. ჩანს, რომ მოცემულ თაობაში წარსული და აწმყო სოციალური კონტექსტები უპირისპირდება ერთმანეთს და განსაზღვრავს ნოსტალგიური რეპროდუქციის ხასიათს. მაგ: რაც უფრო სოციალურად უსაფრთხო და ეკონომიკურად სტაბილურია რესპოდენტისთვის საბჭოთა ეპოქა, მით უფრო ძლიერია მის მიმართ ნოსტალგიური დამოკიდებულება, კომუნისტური წარსულისადმი სენტიმენტალური განწყობა და ამის პარალელურად ცხოვრების თანამედროვე ფორმების კრიტიკული აღწერა.

უფრო კონკრეტულად, კრიტიკული აღწერაში შედის, რესპოდენტთა მიერ, ცხოვრების არსებული ხარისხის ნეგატიური კომენტარებით დახასიათება, რომელშიც ძირითადი აქცენტები ეკონომიკაზე კეთდება, რომლის პირობებშიც ხალხი „გადარჩენას ცდილობს“, უმუშევრობის მაღალი დონე, სოციალური და ფინანსური დაუცველობა, მძიმე სამუშაო პირობები (რომელიც უფასო დასვენებას არ უზრუნველყოფს

დასაქმებულთათვის), კლასობრივი უთანასწორობა, პრივატიზაცია, რაც რესპოდენტებს პატრიოტზმის ნაკლებობად მიაჩნიათ ხელისუფლების მხრიდან, ფასიანი და უხარისხო განათლება, ღირებულებისგან დაცლილი ხელოვნება და მეცნიერება, არა საგანმანათლებლო ტელე პროგრამები, მყიფე და არასოლიდარული სოციალური ურთიერთობები - ამგვარად აღწერენ რეპოდენტები თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს.

საბჭოთა ეპოქასა და თანადროულ პერიოდს შორის პარალელის გავლების საფუძველზე აღნიშნული თაობის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ იდეალური საზოგადოება არ არსებობს. ისინი აღწერენ იდეალურთან ახლო მდგომ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანს სტაბილური სამუშაო და არსებობისთვის საჭირო საბაზისო პირობები აქვს. „საცხოვრებელი, გარანტირებული სამუშაო, უფასო დასვენება, მაღალი ხარისხის/უფასო განათლება და ჯანდაცვა“ ამ კომპონენტებით აგებენ ისინი იდეალურთან მიახლოებულ საზოგადოებას.

საყურადღებოა, რომ კვლევაში მონაწილე რამდენიმე რეპოდენტს, რომელთაც საბჭოთა რეჟიმის პირობებში ციმბირში გადასახლება აქვს გადატანილი, ამ მძიმე გამოცდილების მიუხედავად, მაინც დადებითი ემოციები აკავშირებს საბჭოთა ეპოქასთან მიმართებით, რაც მომდევნო ქვეთავში გაშლილი „კოლექტიური ამნეზიის“ ფაქტორით იხსნება.

კვლევაში გამოკვეთილი ძირითადი ტენდენცია აჩვენებს, რომ საბჭოთა ეპოქის უპირატესობად მოცემულ თაობაში სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის განმსაზღვრელი შემდეგი ელემენტები მიჩნევა:

- უსაფრთხო სოციალური და ეკონომიკური გარემო, რაც სტაბილურ განვითარებასა და საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას/საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობს.

„ჩვენ ვცხოვრობდით კარგად და უსაფრთხოდ“ [პენსიონერი, 81 წლის, ქ.გორი].

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შვებულებები, რაც კულტურულ-რეკრეაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო მშრომელთა კლასისთვის და მეორე მხრივ სახელმწიფოსთვის, რომელიც მას აფინანსებდა.

„გვქონდა 1 თვიანი, სრულად დაფინანსებული და უზრუნველყოფილი შვებულებები“ [პენსიონერი, 80 წლის, ქ.გორი].

- მაღალი ხარისხის, უფასო განათლება და ჯანდაცვა, რაც ნოსტალგიის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ საგანს წარმოადგენს.
- კლასობრივი სოლიდარობისა და ერთიანობის არსებობა, რაც რამდენადმე გამორიცხავდა ქონებრივ უთანასწორობასა და ქმნიდა სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური დოვლათის თანაბრად განაწილების ილუზიას.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, ინტერვიუს პროცესში, G1 თაობის რესპოდენტთა მიერ მითითებები საბჭოთა წარსულის „შავ ლაქებზე“ არ გაკეთებულა:

- თავისუფლების შეზღუდვა
- საქონლის დეფიციტი
- ოფიციალური ათეიზმი და არარელიგიურობა

არის ის ძირითადი სამი ფაქტორია, რაც მოცემული თაობის რეპოდენტებს საბჭოთა რეჟიმის გამოკვეთილ ნაკლოვანებებად მიაჩნიათ.

კვლევის დომინანტი ტენდენციის თანახმად მოცემული თაობის ნოსტალგიის განმაპირობებელ ძირითად მიზეზს ცხოვრებისა და სოციალური სტაბილურობის ის დონე წარმოადგენს, რომლითაც საბჭოთა კავშირი თავის მოქალაქეთ უზრუნველყოფდა და რომელიც თანამედროვე ქართულ რეალობაში ტრანზიციული ეკონომიკის ფონზე დაბალი მაჩვენებლებით წარმოდგა. ამ თაობის მუდმივი ლტოლვა სოციალური უსაფრთხოებისა და სიმშვიდისაკენ იმ ფაქტითაც აიხსნება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ კონფლიქტებისა და სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილების მთელი რიგი გამოიარა, აღნიშნულმა კი გარკვეული კვალი დატოვა საზოგადოების ცნობიერებაზე.

3.2. კოლექტიური ამნეზია

G1 თაობაში გამოვლენილი ძირითადი ტენდენცია გამოიხატება ე.წ. კოლექტიური ამნეზიის სიმპტომით, რომელიც აღნიშნული თაობის რეპოდენტებს გამოკვეთილად ახასიათებთ. თაობა, რომელმაც 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იცხოვრა თავისთვის საძულველი რეჟიმის პირობებში, მოიგონა ახალ წარსული და დაივიწყა აღნიშნული პერიოდის სისტემური სისასტიკე, რეალურად ეს გახლავთ შერჩევითი მეხსიერების ნიმუში, რომელიც კოლექტიური ამნეზიის ზოგად ხაზს მიჰყვება.

კოლექტიური ამნეზია მომდინარეობს კოლექტიური მეხსიერების კონცეპტიდან, რომელსაც ინდივიდუალური მეხსიერების იდეაში აქვს ფესვები გამდგარი. ცვეტან ტოდოროვის მიხედვით, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში გადარჩენილი საბჭოთა მოქალაქეების მეხსიერებას იკვლევს, მოცემულ კონცეპტს არ აქვს ძალა წარსულის სურათის აბსოლუტური აღდგენის თვალსაზრისით, ყოველთვის რჩება რაღაც მთხრობელის თვალთხედვის მიღმა განზრახ ან განუზრახველად. ამდენად მეხსიერება მხოლოდ წარსულის იმ ელემენტების შენახვას უზრუნველყოფს, რაც სუბიექტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, უფროსი G1 თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის მხარდამჭერები არიან, საბჭოთა წარსულის მხოლოდ იმ ასპექტებს იხსენებენ, რომელიც მათ პოზიციებსა და შეხედულებებს ხელსაყრელად ერგება. აქ იჩენს თავს „დამატებული მეხსიერების“ მოვლენაც, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ როგორ ახსოვს საბჭოთა თაობას აღნიშნული პერიოდი, “უხერხული და სამარცხვინო ეპიზოდების მივიწყება უფრო ადვილად ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ამბის მონაწილენი ჩვენს გარშემო არ არიან, რომ შეგვახსენონ და მიგვითითონ. ან რიგ შემთხვევებში ასეთი ეპიზოდები თანდათან იცვლება, ისე რომ ჩვენ ამბის უკეთეს მხარედ გამოვჩნდეთ“ (Samalavičius, 2004). მოცემული მიდგომა ცხადყოფს პოსტ კომუნისტურ კულტურაში წარსულისა და აწმყოს ურთიერთმიმართების პრობლემურობას. მაგალითად, თავად ის მოქალაქენიც კი, რომელთაც საბჭოთა სისტემის სისასტიკე და უსამართლობა საკუთარ თავზე მტკივნეულად იწვნიეს, საბჭოთა წარსულის რომანტიზებას ახდენენ, რადგან ამ პერსპექტივიდან ისინი, მოცემული პერიოდის გმირებად მოჩანან, ეს ფაქტი კი

ხიბლავთ და წარსულისგან ფსიქოლოგიურ თუ მორალურ კომპენსაციას განაცდევინებთ.

G1 საკვლევი ჯგუფის ის რესპოდენტები, რომლებიც საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი და გადასახლებულნი იყვენენ, ან ნათესავთაგან, მეგობართაგან თუ სხვა გარემო წრისგან დასმენილნი, დუმილს ამჯობინებენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც შეიძლება დასახელდეს, რომ დროთა განმავლობაში ის ძალადობრივი, სამარცხვინო და ღირსებისშემლახავი ეპიზოდები, მათ გონებაში დავიწყებას მიეცემა, ვინაიდან თავად ინდივიდია მიდრეკილი იმისკენ, რომ მსგავსი ტრაგიკული გამოცდილებები მეხსიერების უკანა პლანად აქციოს. გარდა ამისა ისინი გამართლებას უძებნიან მსგავს მოვლენებს და ლეგიტიმურად წარმოაჩნენ მათ: *„რახან ასე მოიქცენენ ესეიგი ამას თავისი მიზეზი ქონდა“* თავად საბჭოთა იდოლოგია გახლდათ ორიენტირებული იმაზე, რომ კანონიერების საბურველში მოექცია მსგავი ქმედებები და საზოგადოებისთვის, როგორც სამართლიანი და დისციპლინაზე გათვლილი რამ ისე მიეწოდებინა. ამდენად, საბჭოთა თაობაც შერჩევითად ცვლის ამ ტრაგიკულ გამოცდილებებს და მათ მოდიფიცირებას ახდენს, ისე რომ წარსულის „შავ ლაქებად“ არ წარმოჩდნენ.

თუმცა, მოცემული „კოლექტიური ამნეზიის“, გნებავთ საბჭოთა ამნეზიის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს ფსიქოემოციურ მახასიათებელზე მეტად კომუნისტური იდეოლოგიით ნაკარნახევი დისციპლინა წარმოადგენს, რომელიც სსრკ-ში განსაკუთრებით მძლავრად სტალინის პერიოდში სუფევდა და მოქალაქეთა ცხოვრების ყველა ასპექტს ტოტალურად აკონტროლებდა. დისციპლინიდან ამოვარდნა კი ავტომატურად საბჭოთა რეპრესიებს ნიშნავდა, სტალინის მიერ კულმინაციამდე მიღწეული რეპრესიები გაგრძელდა „ხრუშჩოვის დათბობისა“ და „ბრეჟნევის უძრაობის“ ხანაშიც. შემდგომ გორბაჩოვის პერიოდში წამოწყებულმა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზების კურსმა კი იდეოლოგიის დიქტატი თავისუფლების კომპონენტითა და დემოკრატიით ჩაანაცვლა, რაც საბოლოოდ სსრკ-ს დეზინტეგრაციით დასრულდა.

G1 თაობის რესპოდენტები, რომელთა ასაკიც 60 წელზე მეტია, სწორედ არალიბერალიზებული პერიოდის საბჭოთა კავშირში სოციალიზირდნენ, რაც კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპებისადმი ერთგულებისა და კონფორმიზმის

კონტექსტში წარიმართა, ამდენად გონებაში ცნობიერად თუ არაცნობიერად ამ ინდივიდებს აქვთ კომუნისტური იდოლოგიისადმი ლეგიტიმურობისა და ერთგულების განცდა, რაც რეჟიმის „შავი ლაქების“ მიჩქმალვისა და დამლალვისკენ უბიძგებს ამ უკანასკნელთ. G1 თაობაში წარმოდგენილი რესპოდენტები სტალინის პერიოდს სიყმაწვილის წლებში მოესწრნენ, მათი უმრავლესობა 18 წლის გახლდათ იმ ისტორიულ დღეს, როდესაც იოსებ სტალინი გარდაიცვალა (1957 წელს), ამდენად ახალგაზრდობაში განცდილი ემოციები და მიღებული გამოცდილებები განსაკუთრებით ძლიერად დაილქა აღნიშნული თაობის ცნობიერებაში, მოგონებები მათ მშობლებზე, რომლებიც სტალინის ხანას სრულად მოესწრნენ:

„მამა იმის გამო გააციმბირეს, რომ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან კონფლიქტი მოუვიდა, კონფლიქტის მიზეზი ჯამაგირის დანაკლისი იყო, იმაზე ნაკლები მისცეს ვიდრე ეკუთვნოდა, მას კი შვილები მშივრები ყავდა“ [პენსიონერი, 80 წლის, ქ.გორი].

მოცემული რესპოდენტი „კოლექტიური ამნეზიის“ სიმპტომს ნაკლებად გამოკვეთს, რადგან ღიად საუბრობს ტრამვულ გამოცდილებებსა და სისტემის ნაკლოვანებებზე, თუმცა საინტერესოა, რომ ის მშობლის მიერ განცდილ წარსულ ეპიზოდებსა და ისტორიებზე ფოკუსირებს, რაც მისთვის ემოციურად ახლო და მნიშვნელოვანია.

განსხვავებულ მოპყრობას იმსახურებს კოლექტიური ამნეზიის მთავარი ბენეფიციარი ჯგუფი: კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრების, საბჭოთა ინტელექტუალებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების სახით, რომელთაც საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ ახალ რეალობებზე მორგება მოუწიათ. მათთვის ახალ მოცემულობებთან ადაპტირების მთავარ მექანიზმს წარსულის იმ ეპიზოდების იგნორირება წარმოადგენდა, რომელიც მათ საბჭოთა სისტემასთან პირდაპირ აფილირებასა და მიბმას ახდენდა. სწორედ ამ ჯგუფში ვლინებდა საბჭოთა ამნეზიის კლასიკური სურათი, რომელიც წარსულის „შავი ლაქების“ აბოსლუტურ დავიწყებისა და ამოშლისკენ არის მიმართული.

3.3. ძირითადი ტენდენციები (G2 ჯგუფი): ამბივალენტური ნოსტალგია

ამბივალენტური ნოსტალგია გულისხმობს ურთიერთსაპირისპირო განწყობებისა და დამოკიდებულებების შემცველ მიმართებას საბჭოთა ეპოქასთან, ერთდროულად გიყვარდეს და გძულდეს, გსიამოვნებდეს და არ მოგწონდეს, სიმპათიითაც განგაწყობდეს და ამავდორულად ანტიპათიითაც (Harutyunyan, 2013). ეს ურიერთსაწინააღმდეგო განწყობებისა და შეხედულებების შემცველი ნოსტალგიური ჩანასახები გახლავთ G2 თაობაში გამოკვეთილი სურათი, რომელიც გარკვეულწილად ახალგაზრდა G1 ასაკობრივ ჯგუფშიც იგრძნობა.

ზოგადი აღწერისთვის უნდა მიეთითოს, რომ მეორე საკვლევ ჯგუფში ერთიანდებიან რესპონდენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დემონტაჟის დროს 1990იანების ახალგაზრდებს წარმოადგენდნენ. ეს არის თაობა, რომელმაც საბჭოთა რეჟიმის ცვლილება, მშობლების თაობისგან (G1 ჯგუფი) განსხვავებით, დადებითად აღიქვა და ტრანსფორმაციის შედეგები თავის გამოცდილებებს განსხვავებულად მოარგო. მათ სასკოლო და საუნივერისტეტო განათლება საბჭოთა რეჟიმის პირობებში მიიღეს, ამდენად სოციალიზაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაზა განვლეს კომუნისტური სისტემის პირობებში და მკვეთრად აღიქვეს მოცემული რეჟიმის ძირითადი მახასიათებლები.

ამ თაობისთვის კომუნიზმის ნგრევა, დადებითი შეგრძნებების გამომწვევ ეიფორიულ მდგომარეობასთან ერთად, გარკვეული რისკების შემცველ გარდამტეხ ეტაპსაც წარმოადგენდა:

„დამოუკიდებლობა ყველა ჩვენგანს უნდოდა, 9 აპრილი არასდროს დამავიწყდება, იქ ყველა ერთი რამისთვის ვიბრძოდით, თუმცა შემდგომ სირთულეები წამოვიდა, ჩანდა, რომ ახალი ფორმაცია ბევრ გამოწვევას შეიცავდა“ [მუზეუმის თამშრომელი, 55 წლის, ქ.გორი].

მოცემული რესპოდენტი გამოწვევაში უმთავრესად ამ დრომდე არსებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან/ფორმებთან ჩამოშორებასა და ახალ კაპიტალისტურ წესრიგთან მორგებას გულისხმობს, რაც რთულ ამოცანას წარმოადგენდა.

„ჩვენ დასავლეთის ნოსტალგია გვქონდა, ტელევიზიით ნანახი დასავლეთი ლამაზი იყო, გვსურდა ჩვეთანაც მოსულიყო ეს ცივილიზაცია“ [მსახიობი, 54 წლის, ქ.თბილისი].

„რატომღაც გვეგონა, რომ დასავლეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდით, ის კულტურა, რომელიც იქიდან მოდიოდა სრულიად მისაღები იყო ჩვენთვის, მის ორგანულ ნაწილად ვგრძნობდით თავს. თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ არ ვიცოდით და ქვეყანაც მოუმზადებელი იყო ახალი ფორმაციის მისაღებად“ [პედაგოგი, 47 წლის, ქ. თბილისი].

როგორც მე-2 თავში იქნა განხილული 1990-იანი წლების დასაწყისს, შრომითი ბაზრის პირობები დასაქმებულთათვის საკმაოდ მძმე იყო. პრივატიცაზიის სწრაფი ტემპები, ფასების ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ხარჯების შემცირების ტენდენცია ბიუჯეტის დასაბალანსებლად, ეს იყო „შოკური თერაპია“, რამაც სწრაფი და მკვეთრი გავლენა იქონია ეკონომიკაზე, G2 თაობის წინაშე კი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მთელი რიგი აღმართა.

თავდაპირველად, რეჟიმის ცვლილებამ აღნიშნულ თაობაში მათი ორიენტაციებისა და ღირებულებების ვესტერნიზაცია გამოიწვია (Watts, 1994; Chisholm et al., 1995). რა თქმა უნდა ეს იყო მხოლოდ საწყისი იმ პროცესისა, რასაც დასვლური კულტურისა და ცნობიერების შემოსვლა ეწოდება პოსტ სოციალისტურ სივრცეში. ამ თაობას სამომხმარებლო კულტურა სწრაფად უნდა შეეფასებინა/აეთვისებინა და ეს ინფორმაციული კულტურა მყისიერად აღექვა. ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებზე საპასუხო რეაქცია კი გახლდათ ღირებულებების ტრანსფორმაცია.

ამდენად ღირებულებებითი ცვლილებების თვალსაზრისით აღნიშნულ თაობაში რეჟიმის ცვლილება შემდეგნაირად აისახა:

• პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით: ახალგაზრდებს გაუჩნდათ წარმატებული კარიერის შექმნისკენ მისწრაფება, ასევე კონკურენტული და ინდივიდუალისტური დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ.

• ოჯახური ღირებულებების ცვლილება: ოჯახისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ავტონომიურობისკენ სწრაფვა.

• არჩევანისა და ცხოვრების განკერძოება/ინდივიდუალიზება: თვითგამოხატვა, საკუთარ იმიჯზე ზრუნვა, სხეულზე და ა.შ.

• სამომხმარებლო კულტურაზე გადასვლა, მასმედიის საშუალებების გავლენა. (Mirjana Ule 36)

„ყველა ხვდებოდა, რომ ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა იყო ურთულესი რამ, თუმცა იმასაც ვაანალიზებდით, რომ საბჭოთა სისტემის ნგრევას სხვა ალტერნატივა არ გააჩნდა“ [მშენებელი, 49 წლის, ქ.თბილისი].

ჩანს, რომ საწყის ეტაპზე, კაპიტალისტური სტუქტურების მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი არსებობდა, ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა წარმატებით შეძლო ადაპტირება და მასში შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური შრომის დაფასების დანახვა. რწმენა იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა მუშა ხელისგან მაღალ სტანდარტებს ითხოვდა, ბევრ მათგანს კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი განათლების მიღებისკენ უბიძგა. კერძო ბიზნესის წამოწყება განსაკუთრებით სახარბიელოდ მოჩანდა ამ თაობის პერსპექტივიდან, რაც კარიერული განვითარების ყველაზე წარმატებულ ვერსიად ესახებოდათ. გაიხსნა საზღვრები, რამაც დასავლეთში მოგზაურობა შესაძლებელი გახადა, სამომხმარებლო კულტურა შემოვიდა, შიდა ბაზარი დასვლეთიდან შემოსული მრვალფეროვანი პროდუქციით დაკომპლექტდა, ამ ფაქტორმა კი ქვეყნის შიგნით მოღვაწე საწარმოებს გასაღების ბაზრები შეუზღუდა, რადგან მათი საქონელი დასავლური საქონლის ხარისხსს კონკურენციას ვერ უწევდა. ამ ეტაპიდან უცხოური ინვესიტიციები, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული საბაზრო ეკონომიკისთვის წამყვანი ხდება, რომლისთვისაც ბუნებრივია მიმზიდველი გახლდათ ადგილობრივი შრომითი ბაზრის სიიაფე და პოტენციალი. სწორედ ამ ახალ სოციალურ კონტექსტში დადგა საკმაოდ კრიტიკული პერიოდი 90იანების ახალგაზრდებისთვის, რომლებიც კულტურული დისორიენტაციისა და ახალ წესრიგზე ადაპტირების წარმატებით გადალახვას ცდილობდნენ, სამუშაო ადგილები მათ მხოლოდ მცირე ნაწილს შეხვდა, თუმცა მომავლისადმი ოპტიმისტური განწყობა შინაგანი ფრუსტრაციისგან იცავდა ამ უკანასკნელს.

„90იანებში მახსოვს ფუნდამენტური ცვლილებები ეკონომიკაში, პოლიტიკაში, თითქოს სადღაც დავიკარგეთ, უცხო სამყაროში აღმოვჩნდით. სკოლისა და სტუდენტობის წლები მეტნაკლებად უზურნველად გავატარე, შემდეგ კი გამიჭირდა მოვლენებთან შეგუება“ [მუზეუმის კურატორი, 47 წლის, ქ.გორი].

მოცემული რესპოდენტების უმრავლესობა 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციაში იღებდა მონაწილეობას, ისინი დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საბჭოთა სისტემის დამხობას ქვეყნის ძირითად წარამატებად სახავენ, თუმცა ერთი ფორმაციიდან მეორე ფორმაციაზე გადასვლას საკმაოდ რთულ პროცესად აფასებენ, რამაც შედეგად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონი განაპირობა.

მათ სრულ უმრვალესობას მიაჩნია, რომ საბჭოთა ნოსტალგია არ აქვს, თუმცა ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები, რაც ძლიერად აღიბეჭდება ინდივიდის ცნობიერებაზე და განაპირობებს მის განწყობა/შეხედულებებს, ბუნებრივად წარმოქმნის პოზიტიურ განწყობას საბჭოთა ეპოქის რიგი ასპექტების მიმართ:

„უზრუნველი ბავშვობა და ახალგაზრდობა მქონდა გარწმუნებთ, თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე, სტიპენდიებს ვიღებდით, ეს სტიპენდია ჩვენ გვყოფნიდა, დანიშნული სტიპენდიები გვქონდა, სახელმწიფო გვაძლევდა, ყველა უმაღლეს სასწავლებელში“ [მსახიობი, 55 წლის, ქ.გორი].

„რაც არ უნდა მიუღებლად ჟღერდეს მე ნოსტალგია მაქვს ახალგაზრდობის იმ წლების მიმართ, რომელიც საბჭოთა სისტემის ბაზაზე გამოვიარე, და რომელმაც მეც ისევე როგორც სხვები დიდად გვაზარალა, მაგრამ ეს იყო ახალგაზრდობა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში არის ეიფორიული და იწვევს მონატრებას“ [ლექტორი, 59 წლის, ქ. თბილისი].

„რაც შეიძლება გავიხსენო არის პიონერთა ბანაკები, სადაც მართალია სასიკეთო არაფერი კეთდებოდა, მაგრამ იყო დიდი გართობა და ჟრიამული. წარჩინებული და აქტიური მოსწავლეებისთვის არსებობდა საერთაშორისო პიონერთა ბანაკი- არტეკი, იყო ასევე სხვა ადგილობრივი ბანაკები, სადაც ყოველ სეზონზე დავდიოდი“ [პედაგოგი, 47წლის, ქ.თბილისი].

G2 თაობაში წარმოდგენილი რესპოდენტები კომუნისტურ ნოსტალგიას ცალსახად უარყოფით მოვლენად მიიჩნევენ და ახალგაზრდობაზე ნოსტალგიურად საუბრისას მუდამ იმ ფაქტის კონსტატაციას ეწევიან, რომ ეს არის არა საბჭოთა ეპოქის არამედ მათი ახალგაზრდობის პერიოდის ნოსტალგია/მონატრება, რაც სრულიად ბუნებრივი და დასაშვები მოვლენაა. ამდენად ერთგვარ გამართლებასაც კი უძებნიან საბჭოთა ეპოქის დადებით კონტექსტში მოხსენიებას.

თუმცა იმ თაობისგან, რომელშიც საბჭოთა რეჟიმის დასამხობად და ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მთავარი საპროტესტო მუხტი წამოიზარდა, აღნიშნული გასაკვირი სრულებითაც არ არის. ვინაიდან, ეს არის თაობა, რომლის თვალშიც სახელმწიფოებრიობა პოსტ კომუნისტური ეპოქის ძირითადი მონაპოვარია. ამდენად ის ძირითადი ტენდენცია, რომელიც G2 თაობაში გამოვლინდა გახლავთ სახელმწიფოებრიობის ტრადიციის 2 საუკუნოვან წყვეტაზე მუდმივი ხაზგასმა:

„ქართველი კაცი ტრადიციულად სახელმწიფოებრივად მოაზროვნე იყო, რუსული მმართველობის შედეგად კი ეს მომენტი გაქრა, ჯერ 1801 წლიდან შედეგ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. 70 წლის განმავლობაში, ჩემს საქმეს, ჩემს გასაკეთებელს პოლიტბიურო წყვეტდა და მე სახელმწიფოებრივად აზროვნება არ მევალებოდა, ერთი საზღვარი არ გადამეკვეთა და ის საზიზღარი კაპიტალისტური სამყარო არ მენახა. დანარჩენი მე არაფერი არ მევალეობდა სახელმწიფოებრივად“ [მუზეუმის კურატორი, 47წლის, ქ.გორი]

„ჩვენ მეტი პერსპექტივა გვქონდა საბჭოთა კავშირში რომ არ შევსულიყავით და არ დავეპყარით, საბჭოთა კავშირის გარეშე რა იქნებოდა, 1921 წელს დემოკრატული რესპუბლიკა რომ არ წაერთვათ? ‘’ [სტუდენტი, 54 წლის, ქ.თბილისი].

რა იქნებოდა 1921 წლის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომ ჩაენაცვლებინა საბჭოთა 70 წლიანი დომინაცია საქართველოს ისტორიაში, ამ პათოსით გაჯერებული ზემოთხსნებული პასუხი გამოკვეთს, G2 თაობის მთავარ მახასიათებელს, რაც სუვერენტეტისა და სახელმწიფოებრიობის პრობლემაში მდგომარეობს, სწორედ ეს უკანასკნელი მიჩნიათ მოცემულ რესპოდენტებს თანამედროვეობის დღის წერიგში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების სათავედაც:

„დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ თითოეულ მოქალაქეს თავისით, დამოუკიდებლად უნდა ეაზროვნა, სახელმწიფოებრივად თავისი წილი უნდა გააეკეთებინა და ეს არის ჩვეულებრივი მოქალაქეობრივი ვალი, სხვა არაფერი. სახელმწიფოებრივი აზროვნება ნიშნავს შემდეგს: თითოეულმა თავისი საქმე აკეთოს საჭიროებისამებრ. რაც სახელმწიფოს წინსვლას შეუწყობს ხელს“ [მუზეუმის კურატორი, 47წლის, ქ.გორი].

რესპოდენტი ფიქრობს, რომ ეს ვალი პოსტ კომუნისტურმა საზოგადოებამ, რომელიც კომპარტიის დირექტივების უსიტყვო აღსრულებას იყო შეჩვეული, ვერ მოიხადა, მას ყველაზე მეტად დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების ასპექტში გაუჭირდა, მუდამ სხვაზე დამოკიდებულს უნდა მიეღო საკუთარი გადაწყვეტილება, რომელიც თანმიმდებრულ მსჯელობასა და აზროვნებას მოითხოვდა, სწორედ ამ ფონზე „შოკური თერაპიით“ მიღებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს დაემატა საზოგადოების კულტურული დისორიენტაცია, რამაც ტრანზიციის პერიოდზე ძლიერ გავლენა იქონია.

3.4. ოჯახური მეხსიერება

მესამე ჯგუფში გამოკვეთილი ტენდენციებიდან განსაკუთრებით საგულისხმოა კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი მიმართულება - ოჯახური მეხსიერება, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა პერიოდის ხსოვნის ფორმირებისთვის G3, ახალგაზრდა თაობის ცნობიერებაში. მიუხედავდა იმისა, ეს თაობა პოსტ კომუნისტურ ეპოქაში სოციალიზირდა, მას უწევს საბჭოთა წარსულისთვის ყოველდღიურად „თვალის დევნება“, მშობლებისა და ოჯახის უფროსი წევრების მიერ მოყოლილი საბჭოური ისტორიების მოსმენა და ამის შედეგად გარკვეული დამოკიდებულებების ფორმიერება:

„საბჭოთა პერიოდის შესახებ ჩემს ცნობიერებაში არის ის რასაც მიყვებოდა მამაჩემი, პაპაჩემი, ბებიაჩემი, რომლებმაც იმ პერიოდში იცხოვრეს, სწორედ იქიდან ვიცი ამ ყველაფერზე“ [სტუდენტი, 23 წლის, ქ. გორი].

„გავითვალისწინოთ, ის რომ მე არ მიცხოვრია საბჭოთა კავშირში, აქედან გამომდინარე მახსოვს დედაჩემის, მამაჩემის, ისეთი პატარ-პატარა ისტორიები. ძირითადად დედაჩემის მხრიდან მოყოლილი ისტორიებია“ [სტუდენტი, 27 წლის, ქ.გორი].

„მამები და პაპები მიყვებოდნენ, რომ კარგი იყო საბჭოთა კავშირი“ [დაცვის თანამშრომელი, 27 წლის, ქ.გორი].

აქ ჩანს, რომ ოჯახი თავისი მეხსიერების ტრანზიციას ცდილობს მის ახალგაზრდა წევრებში, ვინაიდან საერთო ხსოვნის უნარი, მას ტრადიციულობის, ერთიანობისა და გარკვეული ტიპის უნიკალურობის შენარჩუნებაში ეხმარება. თუმცა რა გავლენა აქვს კოლექტიური მეხსირების ამ ფორმას ინდივიდუალურ დონეზე, ახალგაზრდა თაობის იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია, ვინაიდან ეს არის თაობა, რომელსაც კომუნისტური რეჟიმი თავის თავზე არასდროს გამოუცდია, ოჯახთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად კი ის იღებს ირიბ გამოცდილებას მოცემული ეპოქის შესახებ, რაც გარკვეული მეხსიერების სახით აკუმულირდება მის ცნობიერებაში და სავარაუდოა, რომ ორ, ერთმანეთიგან განსხვავებულ სცენარს ავითარებს: კონფრომიზმს ან თაობათა შორის მწვავე დისკუსიას საბჭოთა სისტემის ნაკლოვანებების შესახებ.

სამართლიანი იქნება იმის დაშვება, რომ კონფრომიზმს კომუნისტური რეჟიმის თაობაზე ფაქტობრივი ცოდნის არ ქონა განაპირობებს, რომლის მიღებაც წიგნების, ფილმების, მასმედიისა თუ მედიის სხვა საშუალებების გამოყენებით შეიძლება, ხოლო იმის ფონზე, რომ ერთადაერთ წყაროს ოჯახში წარმოდგენილი საბჭოთა G1 და G2 თაობები წარმოადგენენ, მიიღება სცენარი, რომელშიც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს საბჭოთა ისტორიების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება უჩნდებათ, სწორედ ამაზე მიუთითებს მოცემული პასუხის პათოსიც:

„ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილში ნოსტალგიას მშობლები განაპირობებენ უდავოდ. მშობლების ზეგავლენა. ამის მაგალითი მამაჩემია, სულ მისტირის იმ დროს, რაც მის ცხოვრებაში კარგი იყო ამ პერიოდიდან ახსოვს. მე რომ მშობლებზე დამოკიდებული ადამიანი ვიყო, რომელსაც თავის შესაძლებლობები არ გააჩნია და არ შეუძლია ელემენტარულად წასვლა, მუშაობა, სწავლა, თავისით რაღაცის გაკეთება, არ არის გამორიცხული რომ მეც მოვქცეულიყავი ჩემი მშობლის ზეგავლენის ქვეშ და მეც

გამჩენოდა ნოსტალგია. ვისაც დამოუკიდებლად ფიქრი, აზროვნება და ცხოვრება არ შეუძლია ისინი ექცევიან ამ ზეგავლენის ქვეშ, ჩემნაირ ადამიანს კი არასოდეს გაუჩნდება ნოსტალგია სსრკ-ს მიმართ" [სტუდენტი, 21 წლის, ქ.გორი].

მეორე სცენარში კი, როგორც ზემოთ ითქვა, თაობათა შორის იდეურ-ღირებულებითი ჭიდილი იმართება, მასში ახალგაზრდების დასავლურ ღირებულებებს საბჭოთა თაობების კომნისტური აზროვნების სისტემა უპირისპირდება. თაობა, რომელსაც თანამედროვე ეპოქის ძირითად მონაპოვრად გამოხატვის თავისუფლება მიაჩნია, ცდილობს G1 და G2 მეორე თაობის წარმომადგენელთათვის მოცემულის დამტკიცებას:

„მე და დედაჩემი, ჩემივე ინიციატივით, ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე საბჭოთა კავშირზე, დედაჩემი იყო ბებიაჩემის ზეგავლენის ქვეშ, თავის დროზე მან აზროვნება ამოუტრიალა და კომუნისტური იდეოლოგიით „დააბრმავა", ახლა ის 67 წლის არის, ჩემი საუბარი სისტემის ნაკლოვანებებზე და თანამედროვე, თავისუფალი გარემოს უპირატესობებზე მისთვის უკვე გასაგებია, ის ხვდება, რომ კომუნისტური სისტემა მონური ყოფის ლეგიტიმაციას ახდენდა და გამოხატვის თავისუფლებას ებრძოდა" [სტუდენტი, 27წლის, ქ.გორი].

თუმცა აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ „ოჯახის მეხსიერების" ბაზაზე განვითარებული სამი თაობის მეხსიერებებიდან კლასიკური ნოსტალგიური ნარატიულობით მხოლოდ პირველი თაობა ხასიათდება (G1), G2 თაობას კი როგორც წესი საკითხისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს, აქ გამოკვთილი ნოსტალგია იშვიათად ვლიდნება, ამის საწინააღმდეგოდ კი საბჭოთა სისტემის მიმართ ნეგატიური განწყობების სპექტრი იშლება:

„საბჭოთა კავშირზე ჩემი მშობლები დადებითად არასოდეს ლაპარაკობენ, მათგან ვიცი, რომ აღნიშნულ პერიოდში არ იყო კარიერული წინსვლის საშუალება. თუნდაც დღევანდელი ჩვენი საუბარი ვერ შედგებოდა, ისევ სსრკ-ს რომ ეარსება. ნოსტალგია კი, რაზეც საუბრობს უფროსი თაობა მაგალითად, ჩემი მშობლების წინა თაობა საერთოდ არ არის საფუძვლიანი, რადგან ეს ხალხი რეალურად ეკონომიკას უფრო მისტირის, ვიდრე თავად სსრკ-ს" [სტუდენტი, 21 წელი, ქ.გორი].

ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, რომ პოსტ სოციალისტურ ეპოქაში დაბადებულ ქართველ ახალგაზრდებს საბჭოთა ნოსტალგიის ცხადი ფორმა არ აღენიშნებათ, მათში ოჯახის უფროს თაობებთან ურთიერთობის შედეგად მიღებული ფრაგმენტული ნოსტალგიური რეპროდუქციები იკვეთება, რომელთაც თავად რესპოდენტები ნოსტალგიის გამოვლინებად არ მიიჩნევენ, ისინი მიუთითებენ, რომ შეუძლებელია ნოსტალგიის ქონა იმ ეპოქისა და სისტემის მიმართ, რომელიც საკუთარ თავზე არ გამოუცდიათ:

„ნოსტალგია იქიდან გამომდინარე არ მაქვს რომ მე თვითონ არ მიცხოვრია იმ პერიოდში და საკუთარ თავზე არ გამომიცდია, თუმცა მონაყოლიდან შეიძლება გამიჩნდეს გარკვეული დამოკიდებულება, რადგან ვინც იხსენებს ისეთი რაღაც ახსენდება რაც მისთვის კარგი იყო და მოსწონდა, აქედან გამომდინარე შეიძლება შენც დაგაინტერესდეს და ის დრო მოგინდეს, რომ გამოსცადო, გამოიარო, რაზეც ის ადამიანი გიყვება. მაგრამ რეალურად არ იცი, შენ თვითონ არ გამოგივლია და ეს არის უბრალოდ სხვისი აზრი“ [სტუდენტი, 23 წლის,ქ.გორი].

რესპოდენტი მიუთითებს, რომ ნოსტალგია იმ ეპოქის მიმართ, რომელთანაც პირდაპირი გამოცდილებები არ გაკავშირებს, რამდენადმე პარადოქსულია, და ეს არის ის ძირითადი ტენდენცია, რასაც კვლევის პროცესში G3 თაობის წარმომადგენლებში წავაწყდით, მათი პასუხი: „როგორ უნდა მქონდეს იმ ეპოქის მიმართ ნოსტალგია, რომელშიც არ მიცხოვრია“ გახლდათ ყველაზე ხშირი და ინტენსიურად განმეორებადი, ეს თაობა ღიად ემიჯნება პოსტკომუნისტური ნოსტალგიის ფენომენს და მიიჩნევს, რომ 21-ე საუკუნეში მისი არსებობა დამაფიქრებელი და საყურადღებო „სიმპტომია“, თუმცა ლატენტურ დონზე მათ პასუხებში იგრძნობა, რომ „ოჯახის მეხსიერება“ აღნიშნული თაობის წარმომადგენლებზე გარკვეულ გავლენას ახდენს, როდესაც საბჭოთა წარსულის მოხსენიება დადებით კონტექსტში ხდება და მისი მიბმა ავტომატურად უზრუნველყოფილ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მიმართებაში ხორციელდება, G3 თაობის წარმომადგენლებს საბჭოთა ეკონომიკის მიმართ დადებით დამოკიდებულებებს უჩენს, რაზეც მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

3.5. მიმდინარე გამოწვევები

მესამე საკვლევ ჯგუფში შემავალი რესპოდენტების მიერ საქართველოს, როგორც პოსტ საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად გამოწვევად მიიჩნევა სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე და უმუშევრობა, რაც ახალგაზრდების უმრავლესობას მთავარ პრობლემად ესახება. გარდა ამისა, სახელდება განათლების რეფორმის საჭიროება და თავისუფლების არასწორი გაგება, რაც მათი აზრით დასავლური ღირებულებების მოუმზადებლი ფორმით მიღებამ განაპირობა ქართულ საზოგადოებაში.

ახალგაზრდა თაობისთვის სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის კრიზისი, რაც პოსტ კომუნისტური ქვეყნებისთვის გახლავთ დამახასიათებელი, განსაკუთრებით დელიკატურ საკითხს წარმოადგენს, რადგან დემოკრატიის მშენებლობა ნდობის ამ განზომილების გარეშე შეუძლებელია. ხოლო დემოკრატიული წეს-წყობილება ახალგაზრდებისთვის საკუთარი თავის რეალიზების ერთადერთ საშუალებას ქმნის:

„ჩვენს თაობში ნაკლებად არსებობს ნდობა მთავრობისა და პარლამენტის მიმართ, დემოკრატიული სახელმწიფო კი სწორედ ამ ნდობაზე დგას“ [სტუდენტი, 24 წლის, ქ. თბილისი].

„დემოკრატიული რეჟიმი იძლევა იმის საშუალებას, რომ განვვითარდე, ამ გაგებით რა თქმა უნდა მიხარია,რომ საბჭოთა ტოტალიტარული მართვის ქვეშ არ მიწევს ცხოვრება, თუმცა დემოკრატიაც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას, რაც ისეთი ინსტიტუტების მშენებლობაში გამოიხატება, რომელიც ხალხის ნდობას დაიმსახურებს“ [სტუდენტი, 27 წლის, ქ.გორი].

ქალაქ გორში გამოკითხული ახალგაზრდები ხაზს უსვამენ თბილისში არსებული შრომითი ბაზრის შესაძლებლობების დისბალანსს გორის ან სხვა რეგიონების შრომითი ბაზართან, სადაც დასაქმების ნაკლები შანსია. ეს ტრანზიციის ეტაპზე მყოფი პოსტ კომუნისტური სახლემწიფოების ერთ-ერთი ტიპური მახასიათებელია, დასაქმების მთავარი ცენტრები დედაქალაქში მდებარეობს, სადაც მსხვილი ბიზნესის, სამთვარობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სათაო ოფისები და კულტურულ/გასართობი დაწესებულების ცენტრებია თავმოყრილი.

„დღეს ყველაფერში დისბალანსია, არსებობს თბილისი და დანარჩენი საქართველო, თითქოს ყველაფერი ხდება იქ და დანარჩენ საქართველო მის მიღმაა დატოვებული.“ [სტუდენტი, 27 წლის, ქ.გორი].

პოსტ კომუნისტური ეპოქის ნეგატიურ გამოვლინებად ჩაითვალა პრივატიზაციის ეტაპზე, რეგიონებში არსებული ქარხნების დახურვა და შედეგად, ერთ ინდუსტრიაზე კონცენტრირებული ქალაქებისთვის გარკვეული ეკონომიკური საყრდენის გამოცლა: *„საბჭოთა ეკონომიკამ მრეწველობის ერთ დარგზე მიაბა რიგი ქალაქები, მაგ: ქუთაისში არსებობდა მანქანთმშენებლობის ქარხანა, ტყიბულში მოიპოვებდნენ ქვანახშირს, ასევე ჭიათურაში, 15 ერთმანეთზე დამოკიდებული რესპუბლიკის ეკონომიკა ქმნიდა საკმარის დოვლათს განვითარებისთვის. შემდგომ კი საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ დაწყებული საყოველთაო პრივატიზაცია საკმაოდ ცუდად აისახა ამ ქალაქებზე, სადაც დაიხურა ამ ქარხების უმრავლესობა. ამან ბუნებრივია ქვეყნის ეკონომიკაც აზარალა“ [სტუდენტი, 21 წლის, ქ.გორი].*

ჩანს, რომ მოცემულ საკვლევ ჯგუფში შემავალ რესპოდენტებს გააზრებული აქვთ საბჭოთა კავშირის ძლიერი და სუსტი მხარეები, კომუნისტური ეკონომიკა კი მათი გარკვეული ნაწილისთვის სოციალური უსაფრთხოებისა და სტაბილური განვითარების წინაპირობას ქმნის, ამდენად ერთგავრ კომპრომისად ესახებათ სოციალ დემოკრატიის დასავლეთ ევროპული მოდელი, რომლის განხორციელებსაც საქართველოს პირობებში ისურვებდნენ.

3.6. საბჭოთა სისტემის მანკიერებანი

კვლევისთვის ძლიერ საინტერსოა რესპოდენტების მიერ აღდგენილი ის წარსული ეპიზოდები, რომელშიც მკვეთრად ჩანს საბჭოთა სისტემის მანკიერებანი:

„საშინელი წნეხი იყო, ვინ მოგცემდა რამის უფლებას, მე მახსოვს ჩემი თანაკლასელი, რომელმაც სასწავლო წლის დასასრულს მე-11 კლასელებს მიბაძა და მანაც რაღაც დაახატა თავის პიონერის წითელ ყელსახვევს, იქ ამბავი მოხვდა, ამას რა მოყვა, ეს იყო საშინელება. შეიკრიბა მთელი სკოლის პიონერული ორგანიზაცია, შევაჩვენთ, მერე ეს პეტსაბჭოზე განიხილეს. არადა ეს ბიჭი სპორტსმენი იყო, შინაგადაც არ ქონდა პროტესტი სისტემის მიმართ, გაუცნობიერებლად გააკეთა... მეორე თანაკლასელმა კი კომკავშირის ბილეთზე თავის ფოტოს კალმით რაღაც დაახატა, ასევე დიდი ალიაქოთი მოყვა ამ ამბავსაც.. ამგავრი იყო სისტემა... სასტიკი და ულმობელი“ [მუზეუმის კურატორი, 45 წლის, ქ.გორი].

რესპოდენტის მიერ შეფასებული საბჭოთა სისტემა არის სასტიკი და ულმობელი, ჩაკეტილი, მონოლითური და იდეოლოგიურ დიქტატზე გათვლილი. აღწერილი ინციდენტი მიუთითებს, რომ საბჭოთა დისციპლინა ტოტალურად ზემოქმედებდა მისი მოქალაქეების ცხოვრებაზე, მისი კონტროლის მიღმა არ რჩებოდა თვით ყველაზე აფსურდული ელემენტებიც კი, მაგ: პიონერის წითელი ყელსახვევი, კომკავშირის ბილეთი, ოქტომბრელების ვიზუალი და სხვა.

რესპოდენტები მიუთითებენ ე.წ. „საბჭოთა მოწამლულ მენტალობა“-ზე, რაც საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელ საყოველთაო კორუფციასთან ჰპოვებს შეხებას, ყველა სფეროში არსებობდნენ ქურდი ჩინოვნიკები და ქრთამის ამღები მოხელეები, ეს უკანონო ქმედებები კი იმდენად ორგანულად იყო სისტემასთან შერწყმული, რომ ისინი ბუნებრივად მიიჩნეოდა:

„ძალიან ბევრი ჩემს გარემოცვაში არ ენდობოდა უფასო ექიმს, ეს საყოველთაო ჯანდაცვა და დაზღვევა რომ შემოვიდა, ექიმს ჯიბეში ჩუმად ფული თუ არ ჩავუდე, მე იმ ექიმის არ მჯერაო, ეს არის საბჭოთა მოწამლული მენტალობა.“ [პედაგოგი, 45 წლის, ქ.თბილისი].

„მე მყავდა ახლობელი, რომელსაც საბჭოთა დროს ძალიან მაღალი თანამდებობა ეკავა, ის კაცი ამბობდა, რომ მას სძულდა ის წყობილება.. რატომ? მისი პასუხი იყო: მე იმ წყობილებამ ქურდადა მაქცია“ [მშენებელი, 55 წლის, ქ.თბილისი].

მითითება, რომ საბჭოთა სისტემა კორუფციის ერთგვარი ოაზისი გახლდათ მოცემული თაობის რეპოდენტებში ინტენსიურად კეთდება. ისინი გამოკვეთენ, რომ საკუთარი ტვინით და შესაძლებლობებით გამომუშავებული თანხა, კერძო ბიზნესის ან სხვა გზით მიღებული, რომელიც არ საჭიროებს მოპარვასა და სხვა არალეგალურ ქმედებებში ჩართულობას გაცილებით უფრო პროგრესული და მისაღებია, ვიდრე სხვის ხარჯზე მოპარული ფული ან დაგროვებული ქონება. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებდა საბჭოთა სისტემის კიდევ ერთ რამდენამდე დაფარულ ნაკლოვანებას, რომელშიც არსებობდნენ ე.წ. „დიდი კაცები“ და უბრალო ადამიანები, სისტემა ამ „უბრალო ადამიანებისგან “შემდგარ მასას უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ სსრკ-ში ყველა თანაბარ ქონებას ფლობდა და გამორჩეულად მდიდარი არავინ იყო, თუმცა კულუარებში მუდამ არსებობდნენ სახელმწიფო ჩინოვნიკები, კომუნისტური პარტიის წევრები და სისტემის მიერ პრივილეგირებული სხვა პირები, რომლებიც დიდძალ ქონებასა და რესურსს ფლობდნენ:

„მამაჩემის ოჯახს საბჭოთა პერიოდში ყველაფერი ქონდა, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა დარჩათ ეს ქონება. დედაჩემს კი მხოლოდ სამსახური და უბრალო სარჩო გააჩნდა: ეს იყო, რომ სახლში მაცივარი ქონდა სავსე, დაიშალა საბჭოთა კავშირი აღარც სავსე მაცივარი შერჩა, მორჩა, მაგრამ სამაგიეროდ მამაჩემს დარჩა ბევრი რამ. ყოველთვის ასე იყო სსრკ-ში, არსებობდნენ დიდი კაცები და არსებობდა დანარჩენი საზოგადოება, არადა ჩანდა თითქოს ყველას ყველაფერი ქონდა. ამას ძალთა დისბალანსს ვუწოდები“ [სტუდენტი, 23 წლის, ქ.გორი]

რესპოდენტი ძალთა დისბალანსად მოიხსენიებს იმ ცარიელ სივრცეს, რომელიც ე.წ. „დიდ კაცებსა“ და საზოგადეობის უბრალო წევრებს შორის არსებობდა, საბჭოთა სისტემის მთავრ მახასიათებელს კი სწორედ ამ სივრცის დამალვა და იმ ილუზორული შეხედულების ფორმირება წარმოადგენდა, რომ „საჭოთა კავშირში ყველას ყველაფერი თანაბრად გააჩნდა“. სწორედ ეს იგრძნობა საბჭოთა თაობის რესპოდენტებთან

ინტერვიურებში, რომელთა ნოსტალგიის მთავარ საგანს სწორედ ეს ეფემერული თანასწორობის მომენტი ქმნის. აღნიშნული თაობა ლიბერალიზებული საბჭოთა რეჟიმის მხოლოდ ბოლო პერიოდს მოესწრო, სტალინის დიქტატის პირობებში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური წნეხის შედეგად კი მათი ცნობიერება ტოტალურად დაექვემდებარა სისტემის დისციპლინურ მოთხოვნებს, სწორედ ამიტომ ამ თაობას დღემდე სწამს, რომ საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება თანასწორობის პრინციპს რეალობაში ახორციელებდა.

3.7. სტალინის კულტი

მოცემეული კვლევის ფარგლებში სიღრიმისეული ინტერვიუების ნაწილი გორის მაცხოვრებლებთან ჩაიწერა, რომლებშიც სამი საკვლევი თაობის, G1 G2 G3 ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები ჩაერთვნენ. თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რომ მათი ინტერვიიუირების პროცესში სტალინის კულტისა და გავლენის ფაქტორს ვერ გავექცეოდით, რადგანა ქ. გორი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბავშობისა და სიყმაწვილის ადრეული წლების სავანეა, აქ დაიბადა 1878 წლის 18 დეკემბერს, მეწაღე ხელოსნის ოჯახში, 1894 წელს კი გორის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრეული შეიქნა. გორში არსებული სტალინის სახლმუზეუმი ქალაქში ტურიზმისა და ეკონომიკის განვითრების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება, ამდენად დღის ნებისმიერ მონაკვეთში მუზეუმის გარშემო შემოკრებლი უცხოელი ტურისტები ქალაქის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გორის მოსახლეობას, რამდენადმე განსაკუთრებული დამოკიდებულა აქვს ჩამოყალიბებული სტალინის მიმართ, რომელთანაც ფაქტია, რომ მათ გორის, როგორც მშობლური ქალაქის თანაზიარობის მომენტი აკავშირებთ.

G1 თაობა, რომელშიც საბჭოთა თაობის წარმომადგენლები შედიან, ავლენს გამოკვეთილად დადებით დამოკიდებულება/განწყობებს სტალინის მიმართ, მათ მიერ დახასიათებული სტალინი გახლავთ: *„დიადი პოლიტიკოსი“ „საქართველოს სახელის გარეთ გამტანი“ „გამოჩენილი ქართველი, რომელსაც მსოფლიო იცნობს და აღიარებს“ „გენიალური პიროვნება“ „მსოფლიო დონის მოაზროვნე“ „პოლიტიკოსი, რომელსაც სსრკ-ს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება უკავშირდება“, ამ და* სხვა ეპიტეთებით იგება

ამ თაობის რესპოდენტეთა გონებაში ფორმირებული სტალინის კულტი. მთავარი კი ამ ფაქტორთაგან სტალინის ბიოგრაფიის ის დეტალია, რომელიც მას ჯერ საქართველოსთან შემდეგ კი თავად გორთან აკავშირებს თავისი ბავშვობითა და ახალგაზრდობით.

კვლევის მიზანი არ ყოფილა სტალინის კულტთან შემხებლობაში არსებული საკითხებისა და თემების გამოკვეთა, თუმცა სიღრმისეული ინტერვიუს, ნახევრად სტრუქტურურებულმა ფორმატმა, რომელშიც კითხვარი ნაკლებად ფორმალიზებული 4 შეკითხვისგან შედგებოდა, G1 თაობის რესპოდენტებს სტალინის თემატიკის წინა პლანზე წამოწევის საშუალება მისცა, რაც მათი მხრიდან გამოკვთილად დადებით კონტესტსა და განწყობებში გამოიხატა.

გორში მცხოვრებმა, G3 საკვლევი ჯგუფის ახალგაზრდებმა სტალინის, როგორც პოლიტიკოსისა და პიროვნების მიმართ მეტადრე ამბივალენტური და ლატენტურად დადებითი განწყობები გამოხატეს:

“ჩემთვის სტალინი არის ერთი უბრალოდ დიქტატორი, რომელსაც ქართული წარმოშობა აქვს, სხვა არაფერი. გამოვიყენოთ ეს დიქტატორი ტურიზმისთვის, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მითუმეტეს, რომ ეს ფაქტორი, გორს ეკონომიკური განვითარების საშუალებას აძლევს“ [სტუდენტი, 27 წლის, ქ.გორი].

„მე ზოგადად სტალინი არ მიყვარს, როგორც პოლიტიკოსი ძლიერი იყო, მაგრამ როგორც მამა, ქმარი და ადამიანი არაფერს არ წარმოადგენდა. გორელი როცა მესაუბრება სტალინის შესახებ, არ ვმალავ ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას, მაგრამ თბილისში რომ ჩავდივარ ან სხვა რეგიონში, სტალინის ცუდად მოხსენიებაზე ვრეაგირებ და ვიცავ. ბოლოს და ბოლოს მას მამაჩემი და პაპაჩემი სცემს პატივს, სურათი უკიდია ოთახში და შენ რა უფლება გაქვს“ [სტუდენტი, 27 წლის, ქ.გორი].

„გორელს ვაპატიებ, მაგრამ თბილისელი რომ ჩამოდის და მასხრად იგდებს ჩემს დიდ სტალინს, იმას რა უკეთებია სტალინზე მეტი, როცა გააკეთებ სტალინზე მეტს, მერე დადექი და აიგდე მასხრად“ [დაცვის თანამშრომელი, 27 წლის, ქ.გორი].

საინტერესო თემას შლის ზემოთხსენებული პასუხის პათოსი, რომელშიც სტალინის აუგად მოხსენიება გორში მაცხოვრებლების გარდა საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენლებს არ ეპატიებათ, რადგან მსოფლიო დონის პოლიტიკოსის კრიტიკის ლეგიტიმურ უფლებას თავად მათი ცხოვრებისეული მოღვაწეობის ფასი არ აძლევთ, თუმცა აქ მთავარ მიზეზად შემოდის G1 და G2 თაობებში არსებული სტალინის კულტის მიმართ პატივისცემა, რომელიც ახალგაზრდებს მოცემული თემისადმი დელიკატური, მოწიწებითი მოპყრობისკენ განაწყობს და სტლინისადმი ცალსახად ნეგატიური დამოკიდებულებისგან მიჯნავს, აქ იბადება ამბივალენტურობის კომპონენტიც, რომელშიც ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობს სტალინის კულტის მიმართ დადებითი და უარყოფითი განწყობები.

„ბებიაჩემს ქონდა სტალინის კულტი, ისე მოხდა რომ ის სტალინის პერიოდს სრულად მოესწრო, ზე ადამიანი გახდა მისთვის სატლინი, მართალია მე მას ვერ მოვესწარი მაგრამ სახლში მისი ჩინ მედლები უხვად გვაქვს (სიცილი)“ [გამყიდველი, 22 წლის, ქ.გორი].

„პაპაჩემს ჩამოვახსნევინე სტალინის სურათი, ვიღაც რომ მოვიყვანო უხერხული იქნება, ეს რომ ნახოს თქო. იმას მოსწონს, ჩხუბიც გვაქვს ამაზე, მაგრამ მე როგორც გორელი, სტალინის მასხრად აგდებას არ ვაპატიებ სხვებს“ [სტუდენტი, 27 წლის, ქ.გორი].

ზემოთხესენებული მიუთითებს, G1 დ G3 თაობებს შორის გამოკვეთილ აზრთა სხვადასხვაობაზე, ახალგაზრდები სტალინის კულტს ძირითადად სამომხმარებლო კუთხით განიხილავენ და გორში ტურიზმის განვითარების ძირითადა ფაქტორად მიიჩნევენ, საბჭოთა პირველ თაობას კი შექმნილი აქვს სტალინის კულტი ცნობიერებაში, რომლის სადემონსტრაციოდ ოთხაში ჩამოკიდებული სტალინის პორტრეტი, თაროზე სიამაყით შემოდებული ჩინ მედლები და სხვა საბჭოთა პერიოდის მატერიალური ნიმუშები გამოდგება.

G2 თაობის განწყობები უფრო ნეიტრალურია ვიდრე ნეგატიური ან პოზიტიური, რადგან ტურიზმისა და ეკონომიკის ფაქტორი ქალაქისთვის სარგებელის მომტან მთავარ ხელშესახებ გარემოებად მიაჩნიათ:

„მარტივი ლოგიკაა, გორელებისთვის სტალინის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ბუნებრივია. ის კაცი გორელი იყო, ჩინელი კი რომელიც ამხელა მანძილს გამოდის, გორში ამ კაცის სახლმუზეუმის სანახავად ჩამოდის“ [მსახიობი, 55 წლის, ქ.გორი].

სტალინს G2 თაობა ნეიტრალურად აფასებს, ისინი მშობლებისა და ბებია-ბაბუების ცნობიერებაში არსებული სტალინის კულტის გადააზრებასა და კრიტიკულ შეფასებას ცდილობენ, ასევე იგრძნობა ირონიაც:

„ბებიაჩემს სტალინის გარდაცვალებისას ძაძები ჩაუცვამს და ეს ფაქტი არ იყო ერთეული, ამ თაობაში სწორედ ასე აღიქვეს სტალინის გარდაცვალება“ (სიცილი) [პედაგოგი, 47 წლის, ქ.თბილისი].

სტალინის კულტის მიმართ არსებული ირონიული დამოკიდებულება G2 და G3 თაობების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს, G1 თაობისგან განსხვავებით, მოცემულ თაობებს არ გამოუცდიათ სტალინისეულ საბჭოთა კავშირში ცხოვრება, კომუნისტური იდეოლოგიის მკაცრი დიქტატი და მმართველობა. სტალინის კულტის მქონე, ძირითადად 30-იან წლებში დაბადებულ თაობას კი, რომელიც სტალინის გარდაცვალებისას დაახლოებით 18-20 წელს აღწევდა, სოციალიზაციის საფუძვლები სწორედ მოცემული დიქტატორის მმართველობის პირობებში აქვს გამოვლილი, კომუნისტური იდეოლოგია კი, რომელიც აღნიშნული თაობის ცხოვრებას ტოტალურად აკონტროლებდა, სტალინის მიმართ მის მორჩილებას, შიშსა და სიყვარულს უზრუნველყოფდა. ამდენად, თაობებს შორის, სტალინის კულტთან დაკავშირებით გამოკვეთილი კონტრასტის შემცველი სურათი, გასაკვირი არ უნდა იყოს. მოცემული ქვეთავის დასასრულს უნდა მიეთითოს, რომ გორის მაცხოვრებელთა დამოკიდებულება სტალინის, როგორც პოლიტიკოსისა და ცალკე აღებული პიროვნების მიმართ არის მეტადრე სპეციფიური და განსაკუთრებული, რაც სამივე საკლევ ჯგუფში სტალინის გორული წარმომავლობისა და მის შედეგად ქალაქში არსებული სტალინის სახლმუზეუმის ბაზაზე განვითარებული ტურიზმის მხარდაჭერით ვლიდება (მოცემული ფაქტორის ძირითად განმაპირობებლი).

დასკვნა

მოცემული ნაშრომის ბაზაზე განვითარებული, ემპირიული და თეორიული მონაცემების საფუძველზე წარმოებული მსჯელობა ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა, ქართულმა საზოგადოებამ კომუნისტური სისტემის დემონტაჟის შემდეგ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან და ტრანზიციებთან ადაპტირება, ნოსტალგიის, როგორც ერთგვარი დამხმარე მექანიზმის გამოყენების პირობებში შეძლო. ტრანზიციის საკვანძო ფაქტორმა, კომუნისტური წესრიგის ნგრევის შედეგებით, ის მკვეთრად გარდამტეხი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები განაპირობა, რის ფონზეც პოსტსაბჭოთა, ქართული საზოგადოების ცნობიერებაში თავდაპირველად კულტურული ტრამვა, შემდგომ კი ნოსტალგიური სენტიმენტები ფორმირდა.

მოცემული ნაშრომის პირობებში, კვლევის დონმინატი დაშვება, რომლის თანახმადაც, პოსტკომუნისტურ ნოსტალგიას პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპზე მიღებული სუსტი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების თვისობრიობა განსაზღვრავს რამდენიმე ასპექტში დამუშავდა, უპირველესად შესწავლილ იქნა ნოსტალგიის კონცეპტუალური საფუძვლები, მისი თეორიული მახასიათებლები, ტიპოლოგია და განზომილებები, რომელთა საფუძველზეც აღიწერა პოსტკომუნისტური ნოსტალგიის ძირითადი მახასიათებლები. ამ ეტაპზე თეორიულმა მსჯელობებმა აჩვენა, რომ ნოსტალგია სოციალურ კონტექსტებსა და რეალობებზე დამოკიდებულ, დინამიკურ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც ქართულ რეალობაში, ტრანზიციის ეტაპზე მიღებული პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგების არასტაბილურ, მყოფე ხასიათს ერწყმის. სწორედ, კვლევის აღნიშნულ, თეორიულ ნაწილში აკუმულირებულმა ცოდნამ გახადა შესაძლებელი, რომ შესაბამისად შეფასებულიყო მისი ემპირიული ნაწილი, რომლის ბაზაზეც განხორცილებული სიღრმისეული ინტერვიუები გამოკვეთენ, რომ „შოკური თერაპიით“ რეალიზებული ეკონომიკა და მის შედეგად ფორმირებული მძიმე სოციალური კონტექსტი, ქართულ რეალობაში, პოსტკომუნისტური საზოგადოების საბჭოთა ნოსტალგიის ძირითადი განმაპირობებელს წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე G1, G2 და G3 თაობებისთვის სამი ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა, რომელიც რესპოდენტთა ცნობიერებაში განსხვავებული ხარისხისა და ტიპის ნოსტალგიურ რეპროდუქციებს განაპირობებს. საბჭოთა, G1 თაობას ახასიათებს კლასიკურად

გამოვლენილი პოსტკომუნისტური ნოსტალგია, რაც „კოლექტიური ამნეზიის“ ბაზაზე მიღებული მოცემულობა უფროა, G2 და G3 თაობები კი, რომლებიც ამბივალენტური განწყობების გარშემო ავითარებენ თავის ნარატივს, ძირითად შემთხვევებში ემიჯნებიან პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის მოვლენას და მის პარადოქსულობაზე მიუთითებენ. (საუბარია G3 თაობზე, რომელსაც არ უცხოვარია საბჭოთა რეჟიმის პირობებში). კვლევის შედეგები ცხადყოფენ, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულებების ფართო სპექტრი საბჭოთა კავშირის გარშემო „ოჯახური მეხსიერების“ საფუძველზე გამომუშავებული ირიბი გამოცდილებებით მიიღება, რაც თაობათა შორის არსებული ღირებულებითი კონფლიქტის კვალდაკვალ მიმდინარეობს.

ამდენად, ნაშრომის ძირითადი მიგნების გამოკვეთის თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ტრანზიციის ეტაპი პოსტკომუნისტური საზოგადოების სამ, განსხვავებულ თაობაში არაერთგვაროვან გამოხმაურებებს ჰპოვებს, სოციალური კონტექსტები კი ამ პროცესში, პოსტკომუნისტური ნოსტალგიის რეპროდუქციებს ასაზრდოებენ და შემდგომ ეტაპზე მის განვითარებას სხვადასხვა ხარისხისა და თვისობრიობის პერსპექტივიდან განაპირობებენ.

ნოსტალგიის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, პოსტკომუნისტური ნოტალგიის შესწავლა მოცემული კვლევის ფარგლებში მთელ რიგ სირთულეებს წააწყდა, თუმცა ზოგადი სურათისა და ტენდენციების გამოკვეთა ნაშრომის ძირითად დაშვებასთან მიმართებაში მაინც განხორციელდა, რამაც, შესაძლოა, აღნიშნულ სფეროში, შემდგომი ემპირიული გამოცდილებებისა და ცოდნის ორგანიზებას შეუწყოს ხელი.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Khatia Chkhvimiani

Cultural Results of Post-Soviet Transition: Post-Soviet nostalgia seen from the perspective of three generations

Political Science

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course Supervisor: Doctor of political science

Associate Professor: Tamar karaia

Tbilisi

2019

G1 თაობის ცხრილი

რესპოდენტი	ასაკი	სქესი	ქალაქი	პროფესია	სტატუსი
#1	80	მამრობითი	გორი	ინჟინერი	პენსიონერი
#2	81	მამრობითი	გორი	ინჟინერი	პენსიონერი
#3	63	მამრობითი	გორი	ლექტორი	პენსიონერი
#4	79	მდედრობითი	თბილისი	აგრონომი	პესნიონერი
#5	78	მდედრობითი	თბილისი		პესნიონერი

G2 თაობის ცხრილი

რესპოდენტი	ასაკი	სქესი	ქალაქი	პროფესია	ოჯახური სტატუსი
#1	45	მდედრობითი	გორი	მუზეუმის კურატორი	დაოჯახებული
#2	49	მდედრობითი	თბილისი	პედაგოგი	დაოჯახებული
#3	55	მამრობითი	თბილისი	მშენებელი	დაოჯახებული
#4	59	მამრობითი	გორი	ლექტორი	დაოჯახებული
#5	56	მამრობითი	გორი	ლექტორი	დაოჯახებული
#6	47	მდედრობითი	გორი	მუზეუმის კურატორი	დაოჯახებული
#7	55	მამრობითი	გორი	მსახიობი	დაოჯახებული

G3 თაობის ცხრილი

რესპოდენტი	ასაკი	ქალაქი	სასწავლებელი	განათლება	სტატუსი
#1	23	გორი	გორის უნივერსიტეტი	ისტორიის ბაკალავრი	სტუდენტი
#2	27	გორი	გორის უნივერისტეტი	ისტორიის ბაკალავრი	სტუდენტი
#3	21	გორი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგი	სტუდენტი
#4	28	გორი	პროფესიული	ბუღალტერია	გამყიდველი
#5	24		თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგი	სტუდენტი
#6	21	გორი	გორის უნივერსიტეტი		სტუდენტი
#7	24	თბილისი	ილიას უნივერსიტეტი	ფინანსისტი	სტუდენტი
#8	22	თბილისი	ილიას უნივერსიტეტი		სტუდენტი
#9	21	თბილისი	გორის უნივერისიტეტი	ეკონომისტი	სტუდენტი
#10	31	თბილისი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		სტუდენტი
#11	27	გორი	გორის უნივერისიტეტი	პროფესიული	დაცვის თანამშ.

გამოყენებული ლიტერატურა

უცხოენოვანი ლიტერატურა:

Anderson, D. (2010). 'Dying of Nostalgia: Homesickness in the Union Army during the Civil War'. *Civil War History 56 no* , 3:247–282.

Boyer, D. (2010). 'From Algos to Autonomos: Nostalgic Eastern Europe as Postimperial Mania". In M. T. Gille, *Post-Communist Nostalgia* (pp. 17-28). New York and Oxford: Berghahn.

Boyer, D. (2006). 'Ostalgie and the Politics of the Future in Eastern'. *Public Culture* , 361–381.

Constantine Sedikides, T. W. (2008). Nostalgia: Past, Present, and Future. *Current Directions in Psychological Science* , 304-307.

Creed, G. W. (2010). 'Strange Bedfellows: Socialist Nostalgia and Neoliberalism in Bulgaria'. In M. T. Gille, *Post-Communist Nostalgia* (pp. 29-45). New York, Oxford: Berghahn.

Davis, F. (1979). *Yearning for yesterday: A sociology of nostalgia.* New York: Free Press.

Finifter, A. W. (1992). Redefining the political system of the USSR: Mass support for political change. *American Political Science Review* , 587-875.

Gerschmann, K.-H. (1975). JOHANNES HOFERS DISSERTATION ‚DE NOSTALGIA' VON 1688. *Archiv für Begriffsgeschichte Vol. 19* , 83-88.

Gotfredsen, K. B. (2014). Void Pasts and Marginal Presents: On Nostalgia and Obsolete Futures in the Republic of. *Slavic Review* , 246-264.

Hahn, J. W. (1991). Continuity and change in Russian political culture. *culture. British Journal of Political Science* , 393-421.

Harutyunyan, F. K. (2013). Culture and Post- Soviet Transitions: A Pilot Study in the Republic Of Armenia. *International Journal of Politics, Culture, and Society* , 369-392.

Holak, S. L. (2008). "Nostalgia in Post-socialist Russia: Exploring Applications to Advertising Strategy". *Journal of Business Research 61 no* , 2:172–178.

Homer. (1921). *the Odyssey (F. Caulfied, Trans.).* London: G. Bell and Sons.

Wildschut, T. S. (2006). Nostalgia: Content, triggers, functions. . *Journal of Personality and Social Psychology* , 975-993.

Williams, R. (1958). *Culture and society 1780-1950.* New York: Harper and Row.

Ivanova, N. (2002). *Nostal'iashee.* Moscow: Raduga.

Kalinina, E. (2014). *MEDIATED POST-SOVIET NOSTALGIA.* Stockholm: Södertörns högskola.

MacDonald, G. F. (1991). What Is Culture? *The Journal of Museum Education* , 9-10.

Mandel, R. (2012). Transition to Where? Developing Post-Soviet Space. *Slavic Review* , 223-233.

Marx, K. &. (1977). *The German ideology, (trans: Arthur, C. J., Ed.).* New York: International Publishers.

Marx, K. (1995). *The povety of philosphy .* New York: Prohmetheus books.

Murav, H. (2010). looking back to the bright future Alexsand Melikhovs Red Zion. In Z. G. Maria Todorova, *Post - communist nostalgia* (pp. 215-226). New York Oxsford: Berghahn Books.

Papava, V. (2013 march). Reforming of the Post-Soviet Georgia's Economy in 1991-2011. Tbilisi, Republic of Georgia.

Pryor, F. L. (2007). Culture and Economic Systems. *The American Journal of Economics and Sociology* , 817-855.

Schmitter, c. P. (1994). Danger and Dilemas of Democracy. *Journal Of Democracy* .

Sedikides, C. W. (2004). Nostalgia: Conceptual issues and existential functions. In J. G. Pyszczynski, *Handbook of Experimental Existencial Psychology* (pp. 200-214). New York : Guliford Press.

Suny, R. G. (1994). *The Making of the Georgian Nation.* Bloomington: Indiana University Press.

Sztompka, P. (2000). 'Cultural Trauma: The Other Face of Social Change'. *European Journal of Social Theory 3 no* , 4:449–466

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ბალცეროვიჩი, ლ. (2002). *სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში (პოლონეთის ეკონომიკა).* თბილისი.

ნორთი, დ. ს. (2007). სიღარიბის ხაფანგი. In ლ. ფ. ხოსე პინერა, *რეფორმები და თავისუფლება.* თბილისი: წიგნის სახელოსნო.

პაპავა, ვ. (2015). *საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები.* თბილისი: ინტელექტი.

ელექტრონული წყაროები:

ISET POLICYI INSTITUTE. (2014 წლის 24 იანვარი). *ვაშინგტონის კონსენსუსი და საქართველო.* Retrieved 2019 წლის 1 ივლისი from ISET POLICY INSTITUTE: http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e

Jandieri, G. (2016 წლის 21 დეკემბერი). *The case of post-Soviet Georgia shows us that economic freedom and human dignity are inseparable*. Retrieved 2019 წლის 3 july from Learn Liberty: https://www.learnliberty.org/blog/the-case-of-georgia-shows-us-that-economic-freedom-and-human-dignity-are-inseparable/

NDI. (2016 წლის ნოემბერი). *QAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER*. Retrieved 2019 წლის 11 აპრილი from https://caucasusbarometer.org/ge/: https://caucasusbarometer.org/ge/nn2016ge/GEFORPOL/

Samalavičius, A. (2004 წლის 27 თებერვალი). *Memory and Amnesia in a Postcommunist Society*. Retrieved 2019 წლის 25 ივნისი from Eurozone: https://www.eurozine.com/memory-and-amnesia-in-a-postcommunist-society/.

Taylor, A. (2016 წლის 21 დეკემბერი). *The Washington Post.* Retrieved 2019 წლის 8 June from Why do so many people miss the Soviet Union?: https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2016/12/21/why-do-so-many-people-miss-the-soviet-union/?utm_term=.0bcc7c5b490d

Wieliczko, B. a. (2003). *'Post-Communist Nostalgia among the Middle aged Middle Class Poles'.* Retrieved 2019 წლის 6 ივნისი from all academic research: http://citation.allacademic.com/meta/p_mla_apa_research_citation/1/0/6/7/0/pages106706/p106706-1.php

Boym, S. (2011). *Nostalgia.* Retrieved 2019 წლის 7 ივლისი from ALTAS OF TRANSFORMATION: http://monumenttotransformation.org/atlas-of-transformation/index.html